ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ მენტორინგის პროგრამის შემუშავების

სახელმძღვანელო

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის

დაფინანსებულია ევროკავშირის და ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ

დაფინანსებულია
ევროკავშირის და
ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ მენტორინგის პროგრამის შემუშავების

სახელმძღვანელო

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის

ავტორები:
ზორა ცალგოვიცი და ელისაბეთ დუბანი

2019 წლის დეკემბერი

სარჩევი

შესავალი 5

მიზნები 6

პროცესი და მეთოდოლოგია 7

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მენტორინგის საწყის ეტაპზე 9

მენტორინგის პროგრამის ნიმუში 11

სესია 1: შესავალი: გაცნობა და მიზნების დასახვა 16

სესია 2: რა კავშირი აქვს "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას" ჩემთან?. . 18

სესია 3: "მართლმსაჯულება ბრმაა" არ ნიშნავს "გენდერულად ბრმას"! 24. 21

სესია 4: ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების განხილვა 24

სესია 5: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში. . 28

სესია 6: საერთაშორისო სამართლის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში. . 32

სესია 7: პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა. 34

სესია 8: რა შეიძლება გაკეთდეს სასამართლო პროცესებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად? 38

სესია 9: გენდერულად სენსიტიური პრაქტიკის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში 41

სესია 10: პროგრამის დახურვა, შეფასება და მომდევნო ნაბიჯები 43

დამატებითი რესურსები, რომელიც მენტორინგის სესიების შემუშავებაში დაგეხმარებათ 44

დანართები

(1) მენტორინგის სესიის ანგარიშის ფორმა (მენტორებისათვის). 48

(2) მენტორინგის საბოლოო შეფასების ფორმა (მენტორინგის მონაწილეებისთვის) 50

(3) მენტორინგის საბოლოო ანგარიშის ფორმა (მენტორებისათვის). 53

შესავალი

მართლმსაჯულებაზე ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ევროპის საბჭოსათვის პრიორიტეტული საკითხია, რომელიც წევრ სახელმწიფოებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება. 2018-2023 წლებში ევროპის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა იმ პრობლემის გადაჭრა, რომლის თანახმადაც "ქალებსა და მამაკაცებს შორის მუდმივი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, გენდერული მიკერძოება და გენდერული სტერეოტიპები იწვევს ქალებისა და მამაკაცების მიერ მართლმსაჯულებაზე არათანაბარ წვდომას."[1] ამ მიზნით, ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა არაერთ კვლევას ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწდომობის ბარიერების შესასწავლად და მოიწვია ექსპერტთა რამდენიმე კონფერენცია.

მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ კონკრეტული პროექტების ფარგლებში, რომელიც "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ექვს ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, და უკრაინა) ხორციელდება, ევროპის საბჭო ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკოსი იურისტებისათვის ისეთი ინსტრუმენტების შექმნაზე, რომელიც გააუმჯობესებს მათ კომპეტენციას და, საბოლოოდ, აამაღლებს მართლმსაჯულების სისტემების ხარისხს. აღნიშნული პროექტების ფარგლებში შემუშავდა შემდეგი ძირითადი რესურსები:

- მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგის სახელმძღვანელო ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ (2017)[2]
- ონლაინ კურსი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ, HELP-ის[3] [ადამიანის უფლებათა სწავლება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის] პლატფორმის ფარგლებში.
- კვლევა ცალკეულ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, და უკრაინა) ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერების, დაცვის მექანიზმებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ (2017)
- ფაქტობრივი მონაცემები ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ - ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის (2018)[4]

წინამდებარე სახელმძღვანელო ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროექტის ფარგლებში გადადგმული მომდევნო ნაბიჯია. **იგი არის ინსტრუმენტი**, **რომელიც ხელს უწყობს მენტორინგის პროგრამის შემუშავებას**, **ქალებისთვის მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის თემაზე**. მენტორინგის პროგრამა შექმნილია მართლმსაჯულების სექტორის წარმომადგენელი პრაქტიკოსი იურისტების, კერძოდ კი მოსამართლეებისა და პროკურორების უწყვეტი განათლების ხელშესაწყობად.

1. ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია, 2018-2023 წწ.
2. https://www.coe.int/en/web/genderequality/equal-access-of-women-to-justice#{"14965347":[0]}
3. http://help.elearning.ext.coe.intt
4. https://rm.coe.int/factsheet-womens-access-to-justice/16808ff44e

მიზნები

მენტორინგის პროგრამის მიზანია, ერთის მხრივ, მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგის სახელმძღვანელოსა და HELP პლატფორმის ონლაინ კურსს, ხოლო მეორეს მხრივ, პროკურორებისა და მოსამართლეების ყოველდღიურ საქმიანობას შორის არსებული სიცარიელის ამოვსება. მენტორინგის მეთოდოლოგია იყენებს მიდგომას, რომელიც განსხვავდება საკლასო ოთახებში ტრადიციული სწავლებისა და სახელმძღვანელოებისგან. იგი მიზნად ისახავს მართლმსაჯულებაზე წვდომის თეორიების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკოსი იურისტების ყოველდღიური პრაქტიკის დაკავშირებას, რის ფარგლებშიც მენტორინგის მეთოდოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ კონკრეტულ სფეროებზე, რომელშიც ფართოდ გავრცელებული პრობლემები არსებობს. მენტორინგის პროგრამის მონაწილეები (mentees) თავად განსაზღვრავენ სწავლის პროცესის მიმართულებას, რაც უზრუნველყოფს მენტორინგის პროგრამის მაქსიმალურ რელევანტურობას მათ პროფესიულ გამოცდილებასთან მიმართებით.

წინამდებარე სახელმძღვანელოს თანახმად, მენტორინგის პროცესის ფარგლებში მენტორინგის მონაწილეები ყურადღებას გაამახვილებენ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სამი ასპექტის გაუმჯობესებაზე:

- აბსტრაქციული კონცეფციების დაკავშირება ყოველდღიურ საქმიანობასთან;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე მითითება ეროვნულ დონეზე განხილულ საქმეებში;
- სამართლებრივ პრაქტიკაში გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული მიკერძოების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება.

მენტორინგის მონაწილეები იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ იმუშავებს გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულება პრაქტიკაში, რის შედეგადაც ისინი:

- განივითარებენ ახალ ღირებულებებს, კერძოდ, გენდერულად მგრძნობიარე მოსაზრებებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- გახდებიან ქალებისთვის იურიდიული პრაქტიკის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების "ელჩები";
- ხელს შეუწყობენ იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა კომპეტენციების განმტკიცებას, ქალებისა და მამაკაცებისათვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (შემდგომი მენტორინგის - ფორმალური ან არაფორმალური - ან საკუთარ პროფესიაში როლური მოდელის შექმნის გზით).

პროცესი და მეთოდოლოგია

რა არის მენტორინგი? ვინ არის მენტორი?

მენტორინგს განათლების სხვადასხვა სექტორში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რასაც ძირითადად, განაპირობებს მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის ურთიერთობის ხარისხი, გამოყენებული მეთოდოლოგია და სწავლის პროცესის ზოგადი მოსალოდნელი შედეგი. ამავდროულად, არსებობს საერთო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მენტორინგი გულისხმობს ადამიანების მხარდაჭერას, რათა მათ ისწავლონ და განვითარდნენ უფრო ეფექტურად, ვიდრე ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ.

პროექტის, "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა" ფარგლებში მენტორინგი გულისხმობს მენტორსა და სხვა პრაქტიკოს იურისტს შორის მხარდაჭერით კომუნიკაციას, რეფლექსიის ხელშეწყობასა და ცნობიერების ამაღლებას მართლმსაჯულების სექტორში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის შესახებ. ამრიგად, მენტორმა უნდა დაინახოს კავშირი მენტორინგის მონაწილის ყოველდღიურ საქმიანობასა და პროგრამის ფარგლებში განსახილველ თემებსა და თეორიებს შორის. მან უნდა შეძლოს მოსმენა და ისეთი კითხვების დასმა, რომელიც მენტორინგის **მონაწილეს შესაძლებლობას მისცემს**, **მოახდინოს იმ ქმედების იდენტიფიცირება**, **რომელსაც განახორციელებს საკუთარი საქმიანობისა და მიდგომის განსავითარებლად**, **გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით**.

ამ პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ მენტორი არის გარეშე პირი; იგი მენტორინგის მონაწილის ყოველდღიურ საქმიანობაში არ არის პირდაპირ ჩართული, თუმცა, მას აქვს პასუხისმგებლობა, მენტორინგის პროგრამის მონაწილეს მხარი დაუჭიროს და წაახალისოს ინდივიდუალური მიზნების განხორციელების პროცესში. მენტორი სასწავლო პროცესის თანამგზავრის როლს ასრულებს.

მენტორინგი ძლიერი ინსტრუმენტია, ვინაიდან იგი:

- ქმნის სივრცეს დიალოგისთვის და მსჯელობისთვის;
- ორიენტირებულია ადამიანებზე;
- ხელს უწყობს თანაბარ პარტნიორობას სწავლის პროცესში;
- ხელს უწყობს თემის გარშემო პროფესიული მოსაზრებების მაღალ დონეზე გაცვლას;
- ითვალისწინებს სწავლის პროცესის ადაპტაციას პროგრამის მონაწილის საჭიროებების გათვალისწინებით;
- არის ინდივიდუალური - თითოეული ურთიერთობა არის უნიკალური;
- მენტორინგის გამოყენება შესაძლებელია სწავლების სხვა ღონისძიებებთან ერთად.

როგორი უნდა იყოს მენტორი

მენტორისათვის აუცილებელი უნარები და გამოცდილება:

- სექტორული ნოუ-ჰაუ - მენტორი უნდა იცნობდეს თავისი რეგიონის/ქვეყნის მართლმსაჯულების სექტორში არსებულ პროცესებს და კონტექსტს;
- სანდოობა - მენტორი აღჭურვილი უნდა იყოს პერსონალური და პროფესიული სანდოობით. აღნიშნული, ძირითადად, გულისხმობს მენტორის პერსონალურ კავშირს მართლმსაჯულების სექტორთან და შესაბამის პროფესიულ გამოცდილებას;
- სივრცის შექმნისა და გაძლიერების უნარი - მენტორს უნდა შეეძლოს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც ადამიანებს უსაფრთხოდ შეეძლებათ საკუთარ მიკერძოებებზე მსჯელობა და ახალი იდეების შექმნა, თავიანთ პროფესიულ პრაქტიკაში განსახორციელებლად;
- თვითცნობიერება - იმისათვის, რომ სხვებს მხარი დაუჭიროს სწავლის პროცესში, მენტორი კარგად უნდა იაზრებდეს საკუთარ ძლიერ მხარეებსა და განვითარებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს;
- ხელმისაწვდომობა - მენტორი მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს, საკმარისი დრო დაუთმოს მენტორინგის პროგრამის მონაწილეს და მას შესთავაზოს მხარდაჭერა;
- კომუნიკაცია - მენტორს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციისა და მოსმენის კარგი უნარები და უნდა შეეძლოს სხვების იდეებისა და გრძნობების მოსმენა;
- ღიაობა და ემპათია - მენტორი საქმის კეთებისა და მუშაობის ახალი გზებისადმი ღია უნდა იყოს და უნდა შეეძლოს მენტორინგის მონაწილის თანაგრძნობა.

განსხვავება მასწავლებელსა და მენტორს შორის

სწავლება უკავშირდება ცოდნას, ხოლო მენტორინგი კი გამოცდილებას

	მასწავლებელი	**მენტორი**
ინდივიდუალური/ ჯგუფური	კომუნიკაცია სტუდენტების ჯგუფთან	ძირითადად ერთი ერთზე, ზოგჯერ მცირე ზომის ჯგუფთან
აღიარება	ნიშნები, დიპლომი	ნიშნების გარეშე, სერტიფიკატი
მოტივაცია	სავალდებულო/ნებაყოფლობითი მონაწილეობა	თვითმოტივირებული მონაწილეები
სწავლა	ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა ინსტრუქციითა და განმარტებით	ინფორმაციის გადაცემასთან ერთად, სწავლა მიმდინარეობს გამოცდილებისა და რეფლექსიის საფუძველზე; ვინაიდან მენტორინგი არის პროცესი ორ კოლეგას შორის, ისინი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.
ძირითადი იდეა	ძირითადი იდეა მდგომარეობს იმის გააზრებაში, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს გარკვეული მიზნების მისაღწევად.	ძირითადი იდეა მდგომარეობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში; მენტორინგის მონაწილე არა თუ იაზრებს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, არამედ, ხვდება, თუ რატომ არის კონკრეტული გზა უფრო ეფექტური.
მოსწავლესა და მასწავლებელს/მენტორს შორის ურთიერთობის დინამიკა	წინასწარ განსაზღვრული იერარქია	თანაბარი პარტნიორობა მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის
შინაარსი	სტანდარტიზებული კონტენტი	კონტენტის შექმნა ხდება მენტორინგის მონაწილის საჭიროებების გათვალისწინებით
შეფასება	გარე შეფასება, გამოცდები	თვითშეფასება

მენტორინგის პროცესი

პროექტის ფარგლებში შემუშავდა მენტორინგის პროცესის ნიმუში, კონკრეტული ნაბიჯებითა და სახელმძღვანელო მითითებებით. ამავდროულად, პროცესი უნდა იყოს მოქნილი და უნდა იძლეოდეს საჭირო ადაპტაციის შესაძლებლობას, მენტორინგის მონაწილის საჭიროებების გათვალისწინებით. ქვემოთ წარმოდგენილი ნაბიჯები რეკომენდებული ნაბიჯებია, რომელთა გამოყენებაც კონტექსტისა და შესაძლებლობების მიხედვით უნდა მოხდეს.

მენტორინგის პროცესის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი ფაზები:

მენტორინგის მონაწილეებისთვის მიზნების დასახვა

მენტორინგის პროცესის მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და რეალისტური და პროცესის მონაწილეები მათზე დასაწყისშივე მკაფიოდ უნდა შეთანხმდნენ.

აღნიშნულის მარტივი მაგალითია: მენტორინგის შედეგად, მენტორინგის მონაწილე შეძლებს, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს საკუთარი საქმიანობა და "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის" (სტამბოლის კონვენცია) სტანდარტები.

ვადები (სავარაუდო ხანგრძლივობა არის 8 თვე)

მენტორინგის პროცესი დაახლოებით 8 თვეს გასტანს, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურად ეფექტიან სწავლებას. მენტორინგის შეხვედრები, როგორც მინიმუმ, თვეში ერთხელ უნდა დაიგეგმოს, რათა სწავლის მრუდე არ შეფერხდეს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დაგეგმილი სესიების გადანაცვლება და/ან შეცვლა. ზოგიერთი თემა ერთ სესიაზე მეტ დროს მოითხოვს.

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მენტორინგის საწყის ეტაპზე

1. მოლოდინების გააზრება და მართვა და საერთო ნიადაგის შექმნა

როდესაც მენტორინგის მონაწილეს პირველად ხვდებით, მას თავი კომფორტულად აგრძნობინეთ და განუმარტეთ თქვენი როლი და მენტორინგის პროგრამის მიზანი.

უპასუხეთ მის კითხვებს მენტორინგის პროცესის შესახებ.
განმარტეთ, თუ რას მოელით მათგან (მაგალითად, კაზუსების/იდეების/პრობლემების ამოხსნისთვის და განხილვისთვის მზაობა; რეგულარული შეხვედრები და ა.შ.).
განმარტეთ, თუ რას უზრუნველყოფთ თქვენ: კონსულტაცია, სასწავლო მასალები, დისკუსია, კაზუსის მაგალითები.

2. ჩაატარეთ საჭიროებების არაფორმალური შეფასება და ერთად დაისახეთ მიზნები

მენტორინგის მონაწილეს სთხოვეთ, გაგაცნოთ მისთვის პრიორიტეტული საკითხები. გენდერული სენსიტიურობის/ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომის კონკრეტულად რა ასპექტები აინტერესებთ? რა მიმართულებით სურთ ცოდნის გაღრმავება? მოახდინეთ 1-3 კონკრეტული სასწავლო მიზნების ფორმულირება, მენტორინგის მონაწილის საჭიროებებისა და მენტორინგის პროგრამის თემის გათვალისწინებით.

3. განსაზღვრეთ შეხვედრების განრიგი

რამდენად ხშირად გსურთ მენტორინგის მონაწილესთან პირისპირ შეხვედრა? მენტორინგის სესიები იქნება ჯგუფური თუ ინდივიდუალური? როგორ დაუკავშირდებით ერთმანეთს შეხვედრებთან დაკავშირებით (ტელეფონით, ელ-ფოსტით)? რომელია კომუნიკაციის ყველაზე მოსახერხებელი არხი თქვენთვის?

4. ჯერ ყურადღებით მოუსმინეთ, ხოლო შემდეგ დასვით კითხვები და მიეცით რჩევა. მენტორინგის მონაწილეს არ მისცეთ ინსტრუქციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს

თქვენ დაგროვილი გაქვთ მრავალფეროვანი ცოდნა და გამოცდილება. ამავდროულად, მენტორინგის მონაწილე არ არის "ცარიელი ყუთი", რომელშიც თქვენი ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება უნდა ჩადოთ - თქვენი მიზანია, მენტორინგის მონაწილეს დაეხმაროთ ძირითადი საკითხების გაცნობიერებაში, ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოთ საკუთარი ბრწყინვალებისა და ცოდნის დემონსტრირება.
ადვილია მენტორინგის მონაწილეს უთხრათ, როგორ მოიქცეს, თუმცა, აღნიშნული მათ არ მისცემს გამოწვევების თავად გააზრებისა და საკუთარი გადაჭრის გზების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

მანამ, სანამ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამთ, ყურადღებით მოუსმინეთ მენტორინგის მონაწილეს. ჰკითხეთ, თუ რას ფიქრობს იგი. მათი თვალსაზრისი და შეხედულებები, შესაძლოა, თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.

5. დაფიქრდით საკუთარ მიკერძოებებზე

სტერეოტიპებს არ მისცეთ ნება, გავლენა მოახდინოს თქვენს შთაბეჭდილებებზე. არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერ ადამიანს გააჩნია მიკერძოებები. დაფიქრდით, თუ რა მიკერძოებები გაგაჩნიათ თქვენ.

6. ნუ ჩავარდებით პანიკაში, თუ პასუხი არ გაქვთ

მენტორი არ არის კომპიუტერი ან ენციკლოპედია, რომელსაც ყველა პასუხი აქვს კონკრეტულ თემასთან დაკავშრებით. დაიმახსოვრეთ, პასუხის არ ქონა თქვენს ნაკლზე არ მიუთითებს. საჭიროების შემთხვევაში, დახმარება კოლეგებს სთხოვეთ. პასუხთან დაკავშირებული ბუნდოვანება გადააქციეთ სწავლის (და მენტორინგის) შესაძლებლობად.

7. მოახდინეთ მხარდაჭერისა და მზაობის დემონსტრირება

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ავტომობილის მართვის ინსტრუქტორი. თქვენ ზიხართ მგზავრის სავარძელში, ხოლო ავტომობილის მართვას სრულად აკონტროლებს მენტორინგის მონაწილე. ამავდროულად, თქვენ შეგიძლიათ მას მისცეთ რჩევა და მიმართულება ან, საჭიროების შემთხვევაში, იხმაროთ სათადარიგო მუხრუჭი.

მენტორების მხარდაჭერა

მხარდაჭერა, შესაძლოა, მენტორსაც დასჭირდეს საკუთარი როლის შესრულებაში. ზოგჯერ მენტორი იმყოფება ისეთ სიტუაციაში, რომელსაც არ იცის, როგორ მიუდგეს. წინამდებარე სახელმძღვანელო მენტორებისათვის უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას (რომელიც წარმოდგენილია რჩევებისა და რეკომენდაციების სახით) და, ასევე, ინფორმაციას სასწავლო რესურსებისა და დამატებითი საკითხავების შესახებ. მენტორებს მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ კოლეგებისგან და სხვა მენტორებისგან. მნიშვნელოვანია, რომ მენტორებმა ერთმანეთს აღმოუჩინონ მხარდაჭერა.

მენტორინგის პროგრამის ნიმუში

წინამდებარე სექციაში წარმოდგენილი მასალა შედგება ათი სხვადასხვა თემისგან (სესიები), რომელიც განკუთვნილია რვათვიანი მენტორინგის პროგრამისთვის. სესიების თანმიმდევრობა შეესაბამება "ქალთა მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგის სახელმძღვანელოს" თავებისა და "ქალთა მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ" HELP პლატფორმის ონლაინ კურსის მოდულების თანმიმდევრობას. ამავდროულად, პირველი და ბოლო სესიის გარდა, დასაშვებია ნებისმიერი სესიის ადაპტაცია, რათა მენტორს ჰქონდეს მოქნილობა და თავად მიიღოს გადაწყვეტილება სესიების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. წინამდებარე სექციაში, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მენტორმა თითოეული სესია; თუმცა, ამ მხრივ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მენტორის კრეატიულობას და ადაპტირებადობას.

მენტორინგის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მენტორინგის მონაწილის წახალისება, რათა მან თავად მოახდინოს იმ პოტენციური ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც სამართლებრივ სისტემაში არსებობს და აფერხებს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და დაფიქრდეს მართლმსაჯულების სისტემის მუშაობის გაუმჯობესების გზებზე. ტრენინგის სახელმძღვანელო და HELP პლატფორმის კურსი შეიცავს ღია კითხვებს, რომლის მიზანსაც დისკუსიის ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მენტორინგის პროგრამა მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს, უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიოს ეს საკითხები და დაუფიქრდეს საკუთარ პრაქტიკასა და შეხედულებებს. ქვემოთ წარმოდგენილი მასალები რეკომენდაციული ხასიათისაა. მენტორს შეუძლია, მოახდინოს მათი ადაპტირება და შეიტანოს ის ცვლილებები, რომელიც მენტორისა და მენტორინგის მონაწილის მიერ ერთობლივად დასახული მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს.

მენტორინგის სესიები

პირველი სესია არის შესავალი. შესაძლებელია, რომ ეს სესია გაერთიანდეს სხვა სესიასთან, რომელიც არსებით თემას ეთმობა - მაგალითად, მე-2 სესია. მე-10 სესია საბოლოო სესიაა, რომელიც შეჯამებასა და შეფასებას ითვალისწინებს. რეკომენდებულია, რომ მენტორინგის პროგრამის დასასრულს, ამ სესიას ცალკე დრო დაეთმოს. დანარჩენი სესიები (2-9) შეეხება სხვადასხვა თემებს, რომელიც განხილულია ტრენინგის სახელმძღვანელოში და HELP პლატფორმის კურსში. ქვემოთ წარმოდგენილია სესიების ჩამონათვალი:

1. შესავალი: გაცნობა და მიზნების დასახვა
2. რა კავშირი აქვს "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას" ჩემთან?
3. "მართლმსაჯულება ბრმაა" არ ნიშნავს "გენდერულად ბრმას"!
4. ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების განხილვა
5. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში
6. ქალთა უფლებების შესახებ საერთშორისო სამართლის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში
7. პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა
8. რა შეიძლება გაკეთდეს სასამართლო პროცესებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად?
9. გენდერულად სენსიტიური პრაქტიკის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში
10. მენტორინგის პროგრამის დახურვა, შეფასება და მომდევნო ნაბიჯები

მენტორინგის პროგრამის შემუშავება და მასალის ადაპტაცია

მენტორინგის პროცესის გზამკვლევის შემუშავებას მენტორინგის მონაწილესთან ერთად ახდენს მენტორი. ქვემოთ წარმოდგენილი მატრიცა შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს სესიების გამოყენებასთან დაკავშირებით და მიმოიხილავს თითოეული სესიის მიზნებსა და განსახილველ ძირითად თემებს. რვათვიანი პროგრამისთვის გათვალისწინებულია სესიების მაქსიმალური რაოდენობა; ამავდროულად, შესაძლებელია, რომ ზოგ სესიას დაეთმოს მეტი დრო, ხოლო ზოგს კი ნაკლები. თითოეული მენტორინგის მონაწილის მიერ იდენტიფიცირებული ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, მენტორს შეუძლია, სესიებიდან თავად აირჩიოს სასურველი თემები და საკითხები და მათგან შექმნას სხვადასხვა კომბინაციები. ამასთან, ზოგიერთ თემას, შესაძლოა, ერთზე მეტი სესია დაეთმოს, რა შემთხვევაშიც, რვათვიან პროგრამაში არ მოხდება რვავე თემატური სესიის გამოყენება. ამავდროულად, სრულფასოვანი მენტორინგის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სესიებს ქვემოთ წარმოდგენილ სამივე დონესთან დაკავშირებით (შესავალი, შუალედური, გაძლიერებული)

	პროცესზე ორიენტირებული სესიები
	შესავალი: მენტორინგის მონაწილეები ეცნობიან ძირითად კონცეფციებს
	შუალედური: მენტორინგის მონაწილეები ნასწავლ კონცეფციებს იყენებენ სხვადასხვა კონტექსტებში
	გაძილერებული: მიღებულ ცოდნას იყენებენ საკუთარ გამოდილებასა და პრაქტიკაში

სესია	განსახილველი ძირითადი თემები	მიზნები
(1) შესავალი	მენტორინგის საჭიროებები და მოლოდინები მიზნები პროცესი	▶ ერთმანეთის გაცნობა; ▶ მენტორინგის მონაწილის სწავლის საჭიროებებისა და ინტერესის სფეროების გამოკვლევა ▶ კონკრეტული მიზნების დასახვა მენტორინგის პროცესისათვის
(2) რა კავშირი აქვს "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას" ჩემთან?	როგორ/რატომ მიმართვენ ქალები მართლმსაჯულების სისტემას: შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების განხილვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის ქალების წარმომადგენლობის ამსახველი მონაცემებისა და ინფორმაციის განხილვა	▶ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა მონაცემების/სტატისტიკის გამოყენებით ▶ მენტორინგის მონაწილე ახდენს გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირებას და ეცნობა იმ ბარიერებს, რომელსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით ▶ იმის დემონსტრირება, თუ რატომ არის ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემა მენტორინგის მონაწილის პროფესიული პრაქტიკისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი
(3)"მართლმსაჯულება ბრმაა" არ ნიშნავს "გენდერულად ბრმას"	მიუკერძოებლობა vs. გენდერული სენსიტიურობა; როგორ არსებობს ეს ორი კონცეფცია სამართლებრივ სისტემებში გენდერულად სენსიტიური პერსპექტივის გაცნობა ("გენდერული სათვალეები")	▶ მენტორინგის მონაწილე ეცნობა გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების კონცეფციას ▶ მენტორინგის მონაწილე სწავლობს, თუ როდის არის გენდერულად სენსიტიური მიდგომა აუცილებელი კანონში/სამართლებრივ პრაქტიკაში, არსებითი თანასწორობის მისაღწევად ▶ მენტორინგის მონაწილე ჰიპოთეტურ საქმეებზე/კაზუსებზე მუშაობისას იყენებს "გენდერულ სათვალეებს"
(4) ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების განხილვა	იმ კონკრეტული ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც აბრკოლებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ქალებისთვის იმაზე ფიქრი, თუ რა ქმედებების განხორციელება შეიძლება ბარიერების გავლენის შესამცირებლად ან მათ აღმოსაფხვრელად	▶ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი საერთო ბარიერების იდენტიფიცირება და იმ ბარიერების გამოკვეთა, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა აქვს ქალებზე ▶ ურთიერთმკვეთავი და კომპლექსური ბარიერების გააზრება ▶ მენტორინგის მონაწილე კრიტიკულად განიხილავს საკუთარ როლს ბარიერებზე რეაგირების პროცესში
(5) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი იმ ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც კონკრეტულად ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ვლინდება, "მართლმსაჯულების ჯაჭვის" სავარჯიშოს გამოყენებით სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტებისა და ვალდებულებების მიმოხილვა	▶ იმ კრიტიკული ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც აბრკოლებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ქალთა მიმართ ძალადობის (კერძოდ, ოჯახში ძალადობის) შემთხვევებში ▶ მენტორინგის მონაწილე ეცნობა სტამბოლის კონვენციის სტანდარტებს და მათ კაზუსებში იყენებს ▶ მენტორინგის მონაწილე აცნობიერებს მართლმსაჯულების ჯაჭვში არსებულ ბარიერებზე რეაგირების მნიშვნელობას
(6) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში	საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების (სავალდებულო ძალის მქონე და რბილი სამართალი) გამოყენება ეროვნულ კონტექსტში	▶ მენტორინგის მონაწილე სწავლობს შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში საერთაშორისო სამართლის ციტირების პროცედურას ▶ მენტორინგის მონაწილე მიმოიხილავს საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქალთა უფლებების დარღვევის საქმეებში

(7) პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა	კონკრეტულ საქმეებზე მუშაობა, რათა მენტორინგის მონაწილემ დაინახოს, რომ სამართლის განსხვავებული წყაროების გამოყენება იწვევს განსხვავებულ შედეგებს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება საქმეებში, რომელიც შეეხება (A) სქესობრივ/გენდერულ დისკრიმინაციას (B) ქალთა მიმართ ძალადობას	▶ ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კანონმდებლობის ისეთ საქმეებში გამოყენებით, რომელიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი) მიერ იქნა განხილული. მენტორინგის მონაწილე ახდენს საკუთარი პრაქტიკის გამდიდრებას ალტერნატიული სცენარების განხილვით. ▶ მენტორინგის მონაწილე იაზრებს, თუ როგორ ახდენს საერთაშორისო სამართალი ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული სიცარიელის შევსებას.
(8) რა შეიძლება გაკეთდეს სასამართლო პროცესებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად?	გენდერული სტერეოტიპები და გენდერული მიკერძოება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში გენდერული სტერეოტიპების უარყოფითი გავლენა ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწდომობაზე	▶ მენტორინგის მონაწილე ახდენს გედერული სტერეოტიპების, მიკერძოებისა და მცდარი წარმოდგენების იდენტიფიცირებას, ქალთა მიმართ ძალადობის რეალურ საქმეებში. ▶ იმ ზიანის გააზრება, რომელსაც იწვევს სტერეოტიპები, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფერხების კუთხით. ▶ მენტორინგის მონაწილე განიხილავს შესაძლო რეაგირებას მსგავსი სტერეოტიპების მიმართ.
(9) გენდერულად სენსიტიური პრაქტიკის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში	საქმიანობისა და პროფესიული პრაქტიკის "აუდიტი", ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირების მიზნით	▶ მენტორინგის მონაწილე განიხილავს კონკრეტულ ზომებს, რომელთა განხორციელებაც შეუძლია ბარიერების გავლენის შესამცირებლად და ამ მხრივ საჭირო მხარდაჭერას/რესურსებს
(10) პროგრამის დახურვა, შეფასება და მომდევნო ნაბიჯები	გამოიყენეთ მენტორინგის საბოლოო შეფასების ფორმა (მენტორინგის მონაწილეებისთვის) და მენტორინგის საბოლოო ანგარიშგების ფორმა (მენტორებისთვის), რომელიც წარმოდგენილია დანართში 2 და 3.	▶ მენტორინგის პროცესის, ნასწავლი საკითხებისა და შეძენილი ცოდნის მიმოხილვა; ▶ მენტორისთვის/მენტორინგის მონაწილისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა ▶ მენტორინგის პროცესის შეფასება, შინაარსისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ▶ მომდევნო ნაბიჯების განსაზღვრა სწავლისა და განვითარებისთვის

სესიების აღწერა შედგენილია ზოგადი ფორმით. მენტორმა თავად უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ როგორ გახადოს შინაარსი რელევანტური მენტორინგის მონაწილისთვის. თითოეული სესია შეიცავს რჩევებს სხვადასხვა სიტუაციებში სესიის ადაპტაციასთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე რჩევა, რომელიც მენტორებს მასალის ადაპტირების პროცესში დაეხმარება:

- გამოიყენეთ მონაცემები და სტატისტიკა ეროვნულ დონეზე არსებული სიტუაციის შესახებ. რეკომენდებულია ამ მონაცემების წინასწარ შეგროვება ან მათი რესურსების იდენტიფიცირება;
- წარმოადგინეთ მაგალითები ეროვნული კონტექსტიდან. ამ მიზნით, საჭიროა გაეცნოთ კვლევებს ან მოიძიოთ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომელიც მედიით გაშუქდა (მაგალითად, გახმაურებული საქმეები);
- თუ კონკრეტულ სესიასთან დაკავშირებით წარმოდგენილია პრეცედენტული სამართლის მაგალითები, ისინი ეროვნულ დონეზე განხილული საქმეებით შეცვალეთ. ამ მიზნით, საჭიროა ისეთი საქმეების მოძიება, რომელიც ქალთა უფლებებს შეეხება და ისეთ საკითხებს შეიცავს, რომელიც მენტორინგის მონაწილესთან დისკუსიის გამართვას შეუწყობს ხელს;
- გადაამოწმეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან CEDAW კომიტეტს ხომ არ განუხილავს საქმეები კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ, ქალთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილებები/განჩინებები სასარგებლო საკითხავი და სადისკუსიო მასალაა;
- მოამზადეთ ჰიპოთეტური კაზუსები, რათა ხელი შეუწყოთ დისკუსიას ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით (მაგალითად, ბარიერები, რეაგირება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მხრიდან და ა.შ.).

- გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ დისკუსიების დასაწყებად გამოიყენეთ ვიდეოები. სხვადასხვა ორგანიზაციებს მომზადებული აქვთ მოკლე ვიდეო-კლიპები მარტივი გზავნილებით ამ თემების გარშემო, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი. მენტორინგის მონაწილე შეაფასებს, თუ რამდენად სასარგებლოა ეს ვიდეო-კლიპები ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

გაითვალისწინეთ, რომ სესიების შემდგომ წარმოდგენილია დამატებითი რესურსები.

ის მასალა, რომელსაც წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს, განკუთვნილია პროკურორების ან მოსამართლეების მენტორინგის პროგრამისთვის. პირველი სესიის ფარგლებში მენტორი შეისწავლის მენტორინგის მონაწილის კონკრეტულ ინტერესებს; თუმცა, სასურველია, რომ მენტორებმა წინასწარ დაგეგმონ, თუ როგორ მოახდენენ მასალების ადაპტაციას თითოეული პროფესიული ჯგუფის განსხვავებული კომპეტენციების შესაბამისად. სესიების აღწერაში, შეძლებისდაგვარად, წარმოდგენილია სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის შესაბამისი განსხვავებული მიდგომები. მოსამართლეებისთვის ან პროკურორებისთვის მენტორინგის დაგეგმვის პროცესში დაფიქრდით კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ კონტექსტზე და სხვადასხვა თემებზე, რომელიც უკავშირდება ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და რომელიც განსაკუთრებით საინტერესო ან რელევანტურია მენტორინგის მონაწილეებისთვის - მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობა (სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, მოსამართლეებისა და პროკურორების პრაქტიკა), დისკრიმინაცია სქესის ან გენდერის ნიშნით ან საოჯახო სამართალი (ქორწინება, განქორწინება, საკუთრების უფლება).

მენტორინგის პროცესი მენტორინგის მონაწილეებთან განსხვავებულ ჩართულობას საჭიროებს, ხოლო ინტერაქტიული და ემპირიული სწავლების გზების მოფიქრება მენტორისგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. მენტორინგის ზოგიერთი მონაწილის შემთხვევაში, შესაძლოა, მხოლოდ გარკვეული სახის სავარჯიშოები და მეთოდები აღმოჩნდეს ეფექტიანი. ქვემოთ წარმოდგენილი იდეები დაგეხმარებათ, უზრუნველყოთ მენტორინგის მონაწილეების ჩართულობა. ეს სავარჯიშოები საკმაოდ ეფექტიანია და მათი შესრულება მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ სესიების აღწერაში წარმოდგენილ სავარჯიშოებთან ერთად ან ამ სავარჯიშოების ნაცვლად.

- მენტორინგის მონაწილე არაფორმალურ ინტერვიუს ატარებს მოსამართლესთან (რომელიც სხვა სასამართლოდან ან ქალაქიდან არის) ან პროკურორთან (რომელიც სხვა დეპარტამენტიდან ან ქალაქიდან არის), რათა დაადგინოს, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, რა მიაჩნიათ ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელ ბარიერებად და როგორ ესმით ქალების უფლებები პრაქტიკაში.
- მენტორინგის მონაწილეს სთხოვეთ, მოამზადოს ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი სტატია იმ სამართლებრივი პრობლემების შესახებ, რომელიც ქალთა უფლებებს უკავშირდება (რა თქმა უნდა, პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად და კონკრეტულ ან მიმდინარე საქმეებზე მითითების გარეშე).
- წარმოიდგინეთ, რომ მენტორინგის მონაწილე მუშაობს იმ ქვეყანაში, სადაც ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, დამცავი ორდერების ახალი მექანიზმი იქნა მიღებული. მენტორინგის მონაწილის დავალებაა, მოამზადოს იურიდიული დახმარების ცენტრის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სასწავლო კურსის მონახაზი, რომელიც შეეხება ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარებას დამცავი ორდერის მიღებაში. მენტორინგის მონაწილე თავად გადაწყვეტს, თუ რა თემებს უნდა ითვალისწინებდეს კურსი და თითოეული თემასთან დაკავშირებით მოამზადებს შესაბამისი საკითხების მოკლე ჩამონათვალს. მენტორინგის მონაწილემ წინასწარ უნდა განჭვრიტოს, თუ რა არგუმენტები შეიძლება მოიშველიოს ადვოკატმა ახალი კანონის წინააღმდეგ და შეიმუშაოს კონტრა-არგუმენტები.
- მენტორინგის მონაწილეს სთხოვეთ, წარმოიდგინოს ფიქტიური სცენარი, სადაც მართლმსაჯულების სისტემა არ არის სახელმწიფოს უფლებამოსილება, არამედ, კომერციული სერვისია, ხოლო მართლმსაჯულების ქალი მომხმარებლები არიან პოტენციური კლიენტები, რომლებიც სერვისის საფასურს იხდიან. მენტორინგის მონაწილე შეიმუშავებს რეკლამას მართლმსაჯულების სისტემის შესახებ და ქალებს მისი გამოყენებისკენ მოუწოდებს. ჰკითხეთ, რეკლამაში მართლმსაჯულების რა პოზიტიურ ნიშან-თვისებებს გაუსვამს ხაზს?
- მენტორინგის მონაწილეს სთხოვეთ, გაეცნოს გენდერული თანასწორობის შესახებ რამოდენიმე ვიდეო-კლიპს, რომელიც რესურსების სექციაშია წარმოდგენილი და შექმნას ე.წ. "სთორიბორდი" (ვიდეორიგის კადრირება) მარტივი ვიდეოსთვის, რომელიც ფართო საზოგადოებას განუმარტავს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხს. რა თემებზე გაამახვილებს მენტორინგის მონაწილე ყურადღებას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში?

მენტორინგის მონაწილეების ორგანიზება

მენტორინგის სესიები, შესაძლოა, გაიმართოს ინდივიდულური და/ან ჯგუფური სესიების სახით, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე და მენტორინგის მონაწილეების ხელმისაწვდომობაზე. ზოგიერთი სესია, შესაძლოა, განსაკუთრებით ეფექტიანი იყოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯგუფურ გარემოში წარიმართება, ვინაიდან მრავალფეროვანი მოსაზრებები გაამდიდრებს დისკუსიებს და ბრეინსტორმინგს. ამავდროულად, პირისპირ სესიებსაც აქვს გარკვეული უპირატესობა, ვინაიდან ისინი მენტორინგის მონაწილეს საშუალებას აძლევს, უფრო ღმად დაუფიქრდეს იმ გამოწვევებს, რომელსაც საკუთარ პრაქტიკაში აწყდება.

მენტორინგის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ და ჰქონდეთ ინდივიდუალური სესიები; ჯგუფური სესიები წარმოადგენს კოლეგებთან ერთად სწავლის დამატებით შესაძლებლობას. მენტორმა უნდა გაითვალისწინოს, თუ სწავლის რომელ სტილს ანიჭებენ მენტორინგის მონაწილეები უპირატესობას. ჯგუფური სესიების შემთხვევაში, მენტორი შეხვედრის ფასილიტატორია და უზრუნველყოფს, რომ მენტორინგის მონაწილეებმა თანაბრად შეძლონ დისკუსიაში მონაწილეობა და წვლილის შეტანა.

მენტორინგის დაწყებამდე

მენტორინგის პროგრამა განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება მენტორინგის იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც სწავლის სხვა მეთოდების გამოყენებით (საკლასო ოთახში სწავლებაზე დაფუძნებული მეთოდი, სახელმძღვანელოები ან დამოუკიდებელი სწავლება ონლაინ კურსების საშუალებით) უკვე გაეცნენ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კონცეფციას. მენტორინგის პროგრამის სესიები შექმნილია მენტორინგის იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც იცნობენ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კონცეფციასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მენტორთან საწყისი შეხვედრის გამართვამდე მენტორინგის მონაწილეები გაეცნონ HELP პლატფორმის დისტანციურ კურსს "ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის" შესახებ.

მენტორინგის თითოეულ სესიაში მითითებულია დისტანციური კურსის შესაბამისი მოდულები (და ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამის თავები), იმ შემთხვევაში, თუ მენტორს ან მენტორინგის მონაწილეს სურს, შესაბამის მასალას გაეცნოს. მენტორმა მენტორინგის მონაწილეებს უნდა მოუწოდონ, რომ, მენტორინგის პროგრამის პარალელურად, როგორც მინიმუმ, დარეგისტრირდნენ ონლაინ კურსზე[5].

5. კურსის შესახებ მოკლე ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ:
http://help.elearning.ext.coe.int/pluginfile.php/154365/course/section/27343/HELP%20WAJ%20course%20brief.pdf.
მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ, შექმნან ანგარიში და კურსზე დარეგისტრირდნენ:
http://help.elearning.ext.coe.int/login

სესია 1: შესავალი: გაცნობა და მიზნების დასახვა

პირველი სესია წარმოადგენს პირველ კონტაქტს მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის და იგი აუცილებელია, ვინაიდან სწორედ პირველ სესიაზე ხდება გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის ნიადაგის მომზადება. მენტორინგის მონაწილე ეცნობა იმ იდეას, რაც მენტორინგის პროცესს უდევს საფუძვლად და იაზრებს, თუ რა სარგებელს მოუტანს მენტორინგი მის საქმიანობას. სესია მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს საშუალებას აძლევს, ერთმანეთი პერსონალურ და პროფესიონალურ დონეზე გაიცნონ.

სასწავლო მიზნები

ამ სესიის მიზანია მენტორინგის პროცესისა და მენტორინგის მონაწილის მიერ გასაწევი სამუშაოს ჩარჩოს/მონახაზის შექმნა; კერძოდ, იგი მიზნად ისახავს:

- მენტორინგის მონაწილისთვის მენტორინგის პროგრამის გაცნობას
- მენტორინგის მიზნის განმარტებას
- მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის პირველი კონტაქტის დამყარებას
- მენტორინგის მონაწილის სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებების გააზრებას, საჭიროებების კონტექსტის განხილვასა და სასწავლო მიზნების შესაბამისად დასახვას.

ასევე, მნიშვნელოვანია მენტორინგის პროგრამასთან დაკავშირებით მენტორინგის მონაწილის მოლოდინების განხილვა, ვინაიდან აღნიშნული განაპირობებს პროცესის ადეკვატურობას. ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვა ამ სესიის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია.

მოსალოდნელი შედეგები

მენტორინგის მონაწილე გაეცნობა მენტორინგის კონცეფციას და პროცესს, რომელშიც იგი მიიღებს მონაწილეობას. მენტორინგის მონაწილე გააცნობიერებს მენტორინგის მიზანს, სწავლასთან დაკავშირებულ საკუთარ საჭიროებებს და იმას, თუ რა რაოდენობის ენერგიის ინვესტირებას მოითხოვს პროცესი მათი მხრიდან. მენტორინგის მონაწილე მკაფიოდ დაინახავს, თუ როგორ შეუწყობს ხელს მენტორინგის პროცესი მის საქმიანობას მართლმსაჯულების სფეროში.

შინაარსი / თემები

შესავალი და გაცნობა

მენტორინგის პროგრამის მიზანი და პროცესი

სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებები და ინდივიდუალური მიზნები

შეთანხმება თანამშრომლობის პირობებზე, მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის.

სავარჯიშოები

მენტორს შეუძლია, გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ბარათები, რომელიც მენტორსა და მენტორინგის მონაწილეებს პირად ღირებულებებზე საუბარში დაეხმარება (value cards) ან მენტორინგის მონაწილეს სთხოვოს, ისაუბროს საკუთარ გამოცდილებაზე გენდერულ თანასწორობასთან და ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (რელევანტური საქმეები და იდეები). მენტორის გამოცდილების შესახებ დისკუსიას ხელს შეუწყობს მენტორის მიერ წინასწარ მომზადებული "დაუსრულებელი წინადადებები" - მაგალითად, "ჩემი აზრით, გენდერთან დაკავშირებული ყველაზე პრობლემური საკითხია...", ან "ჩვენს ქვეყანაში ქალთა უფლებები..."

განსახილველი თემები

ამ სესიის ფარგლებში, რეკომენდებულია მენტორინგის მონაწილის პროფესიული გამოცდილებისა და გენდერულ თანასწორობასთან და ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან მათი კავშირის შესწავლა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის სესია, რომლის დროსაც მენტორმა უნდა შეაგროვოს მონაცემები, რათა შემდგომ მოახდინოს მენტორინგის პროცესის მორგება მენტორინგის მონაწილის საჭიროებებზე. მენტორი, ასევე, პასუხს გასცემს პროცესთან და ჩარჩოსთან დაკავშირებულ კითხვებს.

წყაროები

მენტორინგის სესიის ანგარიშის ფორმა, რომელსაც ყოველი სესიის შემდეგ ავსებს მენტორი - იხ. დანართი 1.

სესია 2: რა კავშირი აქვს "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას" ჩემთან?

ამ სესიის მიზანია "ყინულის გალღობა" და ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის თემის გაცნობა მენტორინგის მონაწილისთვის/მონაწილეებისთვის. ეს სესია მენტორინგის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა კავშირი აქვს აღნიშნულ თემას მათ გამოცდილებასთან. სესია მენტორინგის პროგრამის საწყისი ეტაპისთვის არის განკუთვნილი, თუმცა, შესაძლებელია მისი ადაპტაცია და გადატანა პროგრამის ბოლოს, რაც მენტორინგის მონაწილეს საშუალებას მისცემს, გაიაზროს, თუ როგორ გამოიყენებს მიღებულ ცოდნას სამსახურში.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

ეს სესია შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილს და 4.13 სესიას და ონლაინ კურსის 1 და 3 მოდულებს.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე საკუთარ გამოცდილებას უკავშირებს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის თემას, რაც ხდება იმის აღიარებით, რომ პრობლემა რელევანტურია ყველა სამართლებრივ სისტემაში.

პროგრამის დასაწყისშივე მენტორინგის მონაწილე სწავლობს, რომ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ არის მხოლოდ აბსტრაქტული კონცეფცია, არამედ, იგი არის პრობლემა, რომელიც არსებობს მის იურისდიქციაში.

მოსალოდნელი შედეგი:

მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემისა და საკუთარ პროფესიულ ცხოვრებაში კურსისა და მენტორინგის პროგრამის პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას. მენტორინგის მონაწილე ინტერესდება თემით და პროგრამის გაგრძელებით.

შინაარსი / თემები

(a) ქალების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვიანობის შესახებ მონაცემების განხილვა.
2007 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა და მოსამართლე ფრანცუა ტულკენსმა მოახდინა სასამართლოში შეტანილი განცხადებების შესწავლა და დაადგინა, რომ ქალები მომჩივნებს მხოლოდ 16%-ში წარმოადგენდნენ. მოსამართლე ტულკენსის დასკვნით, ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ქალებისთვის, სავარაუდოდ, უფრო რთულია საქმის აღძვრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში - რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულწილად ფერხდება მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

(b) იურიდიულ პროფესიებში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ მონაცემების განხილვა.
ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) რეგულარულად ახდენს წევრ სახელმწიფოებში სასამართლო სისტემების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასებას. შეფასება სხვა ინდიკატორებთან ერთად ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის ინდიკატორებს. 2016 წელს, ქალები პირველი ინსტანციის პროფესიული მოსამართლეების 59%-ს წარმოადგენდნენ, ხოლო პირველ ინსტანციაში სასამართლოს თავმჯდომარეების მხოლოდ 36% იყო ქალი. ამასთან, პროკურორების 51% იყო ქალი, თუმცა, ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პირების მხოლოდ 34%-ს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს CEPEJ-ი მონაცემთა ბაზას 2018 წლის მონაცემებით შეავსებს.

(c) ქალების მიერ აღძრული საქმეების რაოდენობისა და პროპორციის შესახებ არსებული ეროვნული მონაცემების ანალიზი. შესაძლებელია, რომ მენტორმა მენტორინგის მონაწილეს სთხოვოს, წინასწარ მოიძიოს შესაბამისი მონაცემები, რომელიც მის იურისდიქციაში არის ხელმისაწვდომი.

სავარჯიშოები

(a) მენტორი მენტორინგის მონაწილეს გააცნობს მოსამართლე ტულკენსის კვლევიდან ამონარიდს, რომლის განხილვაც მოხდება სესიის დროს, ან მენტორი მენტორინგის მონაწილეს სთხოვს, სრულ სტატიას გაეცნოს წინასწარ, სესიის დაწყებამდე.

(b) მენტორი მენტორინგის მონაწილეს სთხოვს, გაეცნოს CEPEJ-ის ევროპული სასამართლო სისტემების მონაცემთა ბაზას - კერძოდ, მოიძიოს მონაცემები, რომელიც შეეხება მის ქვეყანაში სხვადასხვა იურიდიულ პროფესიებში ქალების წარმომდგენლობას. მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ, მონაცემთა ბაზა გამოიკვლიონ და სხვადასხვა პროფესიებისა და ქვეყნების მონაცემები შეადარონ ერთმანეთს.

(c) მოსამზადებელი დავალების ან სესიის შემდგომ შესასრულებელი დავალების სახით, მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, მოიძიოს დამატებითი ეროვნული მონაცემები, იმ სურათის შესავსებად, რომელიც ქალების მიერ სასამართლო სისტემის (განსაკუთრებით, სასამართლოების) გამოყენებასა და შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში მათ წარმომადგენლობას ასახავს. სავარაუდოდ, ასეთი მონაცემები არ იქნება მზა სახით ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მენტორმა მენტორინგის მონაწილეს უნდა შესთავაზოს, გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, ეს საკითხები გაითვალისწინოს მთელი პროგრამის განმავლობაში და ჩაინიშნოს ყველაფერი, რასაც ისწავლის/დააკვირდება.

განსახილველი თემები

(a)

- იმის გათვალისწინებით, რომ ქალები, როგორც მინიმუმ, ევროპის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების მეოთხედზე ნაკლები ეკუთვნის ქალებს?
- თქვენს ცოდნაზე ან გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელია სამართლის ის ძირითადი სფეროები ან ადამიანის უფლებების ის ძირითადი დარღვევები, რასთან დაკავშირებითაც ქალები მიმართავენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს? აღნიშნეთ, რომ თავად სასამართლო არ აქვეყნებს სქესის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს მომჩივნების ან განხილული საქმეების შესახებ. სასარგებლო იქნებოდა ასეთი მონაცემების ქონა? რატომ ან რატომ არა?

(b)

- რა სახის ტენდენციებს ამჩნევთ იურიდიულ პროფესიებში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ CEPEJ-ის მონაცემებში? დაფიქრდით ერთ რომელიმე პროფესიაში (მაგ. მოსამართლე, პროკურორი), პროფესიებს შორის და ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებზე. რით შეიძლება აიხსნას არსებული განსხვავებები? განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ ფენომენზე, რომელიც "შუშის ჭერის" სახელით არის ცნობილი.
- რა კავშირშია პროკურორებსა და მოსამართლეებს შორის ქალების წარმომადგენლობა "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის" კონცეფციასთან?
- რა კავშირია (თუ არის ასეთი კავშირი) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ქალების მიერ შეტანილ საჩივრებთან დაკავშირებით მოპოვებულ მონაცემებსა და მართლმსაჯულების სისტემებში ქალების წარმომადგენლობას შორის? უფრო ფართოდ რომ ვიმსჯელოთ, როგორ დავუჭიროთ მხარი ქალებს მართლმსაჯულების სექტორში?

(c)

- თქვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შესახებ რა მონაცემებია ხელმისაწვდომი? საქმეების რა ნაწილი (რაოდენობა და %) არის აღძრული ქალების მიერ? ქალების მიერ აღძრული საქმეები, ყველაზე ხშირად, სამართლის რომელ სფეროს შეეხება? ქალები სასამართლოებს საკუთარ საქმესთან დაკავშირებით მიმართავენ თუ სხვისი სახელით?
- თუ შესაბამისი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, თქვენს პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა მოსაზრებები გაგაჩნიათ ქალების მიერ მართლმსაჯულებით სარგებლობასთან დაკავშირებით?
- რა სახის მონაცემები ან ინფორმაცია არის საჭირო მართლმსაჯულებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემთხვევებისა და ხარვეზების გამოსავლენად? ამ მხრივ, ინფორმაციის რა წყაროებზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება?
- აქამდე დაფიქრებულხართ ქალებისა და მამაკაცების მიერ მართლმსაჯულებით სარგებლობასთან ან შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო სისტემაში ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ განსხვავებებზე? რატომ ან რატომ არა?

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- პროკურორების შემთხვევაში, უფრო სასარგებლო იქნება, თუ ისინი შეადარებენ მონაცემებს ქალი და მამაკაცი მსხვერპლების/ბრალდებულების შესახებ, სისხლის სამართლის საქმეებში. ჰკითხეთ, მათი მოსაზრებით, ძალადობის რა ფორმა ახდენს არაპროპორციულ გავლენას ქალებზე? რა ტენდენციები გამოიკვეთა?
- შესაძლებელია, რომ მენტორინგის მონაწილე არ იცნობდეს გენდერული ნაპრალების (gender gaps) ან გენდერული უთანასწორობების (gender disparities) ცნებებს. სასურველია, რომ მენტორინგის მონაწილესთან განხილულ იქნას უთანასწორობები სასამართლო სისტემის მიღმა - როგორც ეროვნულ დონეზე არსებული კონტექსტი, ისე გლობალური ტენდენციები. დისკუსია, შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, გენდერული სახელფასო სხვაობა (pay gap), სეგრეგაცია ქალებისა და მამაკაცების მიერ შესრულებული სამუშაოების კატეგორიებში, ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკურ თანამდებობებზე და სხვა. სთხოვეთ მენტორინგის მონაწილეს დაფიქრდეს, უთანასწორობის რა ტენდენციებია რელევანტური ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემასთან დაკავშირებით. [შენიშვნა: ეს თემა, ასევე, უკავშირდება მე-4 სესიას,

რესურსები

ადამიანის უფლებები, ქალთა უფლებები. ქალი მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ფრანცუა ტულკენსის ლექცია (2007).
https://rm.coe.int/1680597b21

CEPEJ-ის დეშბორდი სასამართლოებსა და პროკურატურებში გენდერული თანასწორობის შესახებ:
https://public.tableau.com/profile/cepej#!/vizhome/CEPEJ-Genderequalityv1_3/Barcharts
https://www.coe.int/en/web/cepej/dynamic-database-of-european-judicial-systems

შენიშვნა: სასურველია, მენტორინგის მონაწილე გაეცნოს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ექვს ძირითად კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილია გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტის N33 ზოგად რეკომენდაციაში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ (2015):
https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW/C/GC/33&Lang=en

ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ექვს ძირითად კომპონენტს, ასევე, მიმოხილავს ტრენინგის სახელმძღვანელოს 1.1.2 სექცია და დისტანციური კურსის 1 მოდული.

სესია 3: "მართლმსაჯულება ბრმაა" არ ნიშნავს "გენდერულად ბრმას"!

ამ სესიის მიზანია, მენტორინგის მონაწილემ გაიაზროს გენდერული პერსპექტივის მნიშვნელობა და ის, თუ რატომ არის სასარგებლო პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის გენდერული პერსპექტივის გამოყენება.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

ეს სესია შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს პირველ თავს (სექცია 1.1) და მე-4 თავს (განსაკუთრებით, სექცია 4.8) და ონლაინ კურსის 1 და 5 მოდულებს.

შენიშვნა: გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების იდეებს, ასევე, ეთმობა მე-9 სესია, რომლის ფარგლებშიც მენტორინგის მონაწილე შეძლებს, უფრო პროაქტიულად მაოხდინოს საკუთარ პრაქტიკაში განხორციელებადი ცვლილებების იდენტიფიცირება. მე-9 სესია უნდა ჩატარდეს მენტორინგის პროგრამის დასასრულს. მე-3 სესიის მიზანს კი წარმოადგენს მენტორინგის მონაწილისთვის მნიშვნელოვანი კონცეფციების გაცნობა, რომელიც უფრო დეტალურად მომდევნო სესიებში იქნება განხილული. ამავდროულად, შესაძლებელია მე-3 და მე-9 სესიების გაერთიანება.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს, რომ "ბრმა" (მიუკერძოებელი) მართლმსაჯულების კონცეფცია არ ნიშნავს, რომ ერთმანეთისგან არ უნდა განირჩეს ქალი და მამაკაცი. მენტორინგის მონაწილე გაეცნობა იმ ლეგიტიმურ საფუძვლებს, რომელიც ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულად მოპყრობას მოითხოვს (სამართალში და სამართლებრივ პროცესებში). ეს სესია მენტორინგის მონაწილეს დაეხმარება ფორმალურ ანუ იურიდიულ (ე.ი. რაც კანონში წერია) თანასწორობას და და არსებით თანასწორობას (შედეგებისა და შესაძლებლობების თანასწორობა) შორის არსებული განსხვავებების დანახვაში. იგი გაიაზრებს, რომ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საჭიროებს არსებით თანასწორობას (ფორმალური და არსებითი თანასწორობის საკითხები უფრო დეტალურად არის განხილული ონლაინ კურსის მე-3 მოდულში).

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილე შეძლებს, გაიაზროს, თუ როდის და რატომ არის საჭირო, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გენდერულ საკითხებს (და უთანასწორობებს, რომელსაც ქალები განიცდიან) სამართლებრივ სისტემაში, რომელიც მიუკერძოებლობის პრინციპებს იცავს. ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საფუძველია გენდერული პერსპექტივის მნიშვნელობის გააზრება და მისი გამოყენება სამართლებრივ სისტემაში. "გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების" კონცეფციას, ასევე, განიხილავს ტრენინგის სახელმძღვანელო და ონლაინ კურსი. და ბოლოს, ეს სესია მენტორინგის მონაწილეებს დაეხმარება, გაითავისონ გენდერული პერსპექტივის მნიშვნელობა და მათ მისცემს საჭირო თავდაჯერებულებას საკუთარ პრაქტიკაში ცვლილებების განსახორციელებლად (ამ ყველაფრის გამყარებას კი მენტორინგის მონაწილეები მე-9 სესიის ფარგლებში შეძლებენ).

შინაარსი / თემები

(a) რატომ არის გენდერულად ბრმა მიდგომა პრობლემური და როგორ უნდა გარდაიქმნას იგი გენდერულად სენსიტიურ მიდგომად.

(b) ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული გენდერული თანასწორობის დებულებების შედარება ქვეყანაში არსებულ დე-ფაქტო მდგომარეობასთან, რათა გაუმჯობესდეს იმის აღქმა, თუ რა გავლენას ახდენს ქალის უთანასწორო სტატუსი მის მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

სავარჯიშოები

(a) მენტორინგის მონაწილეებმა უნდა განიხილო ქვემოთ წარმოდგენილი სიტუაციები და იმსჯელონ შესაძლო მიდგომებზე. გაითვალისწინეთ, რომ მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შეუძლიათ, განიხილონ სამივე კაზუსი ან მენტორმა, შესაძლოა, შეარჩიოს მხოლოდ ის კაზუსი (ან კაზუსები), რომელიც მენტორინგის მონაწილისთვის ყველაზე რელევანტურია. მენტორმა, ასევე, შესაძლოა, შეიმუშაოს დამატებითი კაზუსები, რომელიც შეესაბამება მენტორინგის მონაწილის ინტერესებს ან პროფესიულ გამოცდილებას.

კაზუსი 1 (შეადარეთ სცენარები)

ანა პოლიციაში მიდის და საჩივარი შეაქვს ქმრის წინააღმდეგ. ანას განცხადებით, ქმარი მასზე წლებია ფიზიკურად და ემოციურად ძალადობს. წინა ღამეს მან ანას თანამშრომელთან ღალატში დასდო ბრალი, აგრესიულად წაართვა ტელეფონი და აღარ უბრუნებდა. ანამ სცადა ტელეფონის დაბრუნება, თუმცა, ქმარმა მას ხელი ჰკრა და ანა მაგიდას დაეჯახა. ანას მხარზე დიდი ზომის ჩალურჯება აქვს.

ბარბარა პოლციიაში მიდის და ქურდობის შესახებ საჩივრი შეაქვს. წინა ღამეს, როდესაც იგი მატარებლის გაჩერებიდან სახლში ბრუნდებოდა, უკნიდან მიეპარა მამაკაცი და ტელეფონი გამოსტაცა. მას წარმოდგენა არ აქვს, ვინ იყო ის მამაკაცი, თუმცა, შეუძლია, რომ აღწეროს მისი ზოგიერთი ნიშან-თვისება. ბარბარამ წიანაღმდეგობის გაწევა სცადა, თუმცა, იგი თავდამსხმელმა ძირს დაანარცხა. ბარბარას მხარზე დიდი ზომის ჩალურჯება აქვს.

კაზუსი 2

პროკურორი მუშაობს სექსუალური ძალადობის საქმეზე. მსხვერპლი, C, აცხადებს, რომ იგი წვეულებაზე გააუპატიურეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ C და ბრალდებული ინცინდენტის დროს ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. პროკურორმა C ორჯერ გამოკითხა. ბოლო შეხვედრიდან სამი თვის შემდეგ, პროკურორი მსხვერპლს დამატებითი გასაუბრების მიზნით უკავშირდება. გასაუბრებაზე C სტრესულ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ გაუპატიურების ამსახველი ვიდეო ინტერნეტში გამოქვეყნდა. იგი პროკურორს კითხვებზე ბუნდოვან პასუხებს სცემს, ზოგიერთი მოვლენა არ ახსოვს და აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომელიც მის მიერ მანამდე მიცემულ ჩვენებას ეწინააღმდეგება. პროკურორმა საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მას ეჭვი შეეპარა მსხვერპლის სანდოობაში და მიიჩნია, რომ მისი ჩვენება არ იყო გასაგები.

კაზუსი 3

განქორწინების საქმეში, ყოფილი ქმარი ითხოვს, რომ სასამართლომ ოჯახური ბიზნესი მხოლოდ მას მიაკუთვნოს. სასამართლო ითვალისწინებს ყოფილი ქმრის დასაქმების ისტორიას, შემოსავალს, აქტივების შეძენასა და იმ ფაქტს, რომ ყოფილი ცოლის ფინანსური კონტრიბუციები ოჯახსა და ბიზნესში შედარებით ნაკლები იყო. ქორწინების განმავლობაში, ყოფილი ქმარი სრულ განაკვეთზე იყო დასაქმებული, ხოლო ყოფილი ცოლი რამოდენიმე წელი ნახევარ განაკვეთზე ბუღალტრად მუშაობდა, ხოლო უმუშევრობის დროს ბავშვებსა და ხანდაზმულ მშობლებზე ზრუნავდა. ოჯახური აქტივების საერთო ღირებულება, ბიზნესის ჩათვლით, 5.6 მილიონი ევროა. მოსამართლემ დაადგინა, რომ ყოფილი ცოლის ფინანსური საჭიროებები შეადგენდა 110 000 ევროს და მას აღნიშნული თანხა მიანიჭა. ქონების დანარჩენილ ნაწილი კი ყოფილ ქმარს დარჩა.

(b) მენტორინგის მონაწილე უნდა გაეცნოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს, რომელიც შეეხება თანასწორობას და დისკრიმინაციის აკრძალვას (ეს, შესაძლოა, იყოს ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ადგენს თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, ან კანონი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ან გენდერის ნიშნით). შემდგომ, მენტორინგის მონაწილე მსჯელობს იმ განსხვავებებზე, რომელიც არსებობს ფორმალურ (დე იურე) თანასწორობასა და არსებით თანასწორობას შორის, იმ შემთხვევებზე დაყრდნობით, რომელიც ქალების მიმართ დისკრიმინაციისა და უთანასწორობის მკაფიო მაგალითია (მაგ. სახელფასო სხვაობა, გენდერული როლები, ქალთა მიმართ ძალადობა და ა.შ.).

განსახილველი თემები

(a)

- პირველ კაზუსში (ანა და ბარბარა) რა მსგავსებებია რელევანტური კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების (ან იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების) შესაძლო რეაგირების კუთხით? რა ძირითადი განსხვავებებია და ეს განსხვავებები რაზე მიუთითებს, სამართლებრივი რეაგირების ჭრილში? დაფიქრდით პოტენციურ შედეგებზე იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ ინცინდენტზე რეაგირება იქნება არსებითად ერთნაირი ან განსხვავებული. რა ნეგატიური და პოზიტიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე მიდგომის გამოყენებას ან განსხვავებული მიდგომების ქონას? რას უნდა ითვალისწინებდეს გენდერულად სენსიტიური მიდგომა?
- მეორე კაზუსში (C-ს საქმე) იმსჯელეთ პროკურორის იმ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე, რომელიც, შესაძლოა, იყოს პრობლემური ან არ იყოს გენდერულად სენსიტიური. რატომ არის ეს ქმედებები/გადაწყვეტილებები "გენდერულად ბრმა"? რა მიდგომების გამოყენება შეეძლო პროკურორს იმისათვის, რომ მისი რეაგირება, სიტუაციისა და მსხვერპლის გამოცდილების გათვალისწინებით, ყოფილიყო უფრო ეფექტიანი?

მესამე კაზუსში (განქორწინების საქმე) მოსამართლის გადაწყვეტილება შედეგების თანასწორობას თუ უთანასწორობას უწყობს ხელს? როგორ შეფასდა ქმრისა და ცოლის კონტრიბუციები? იმ შემთხვევაში, თუ ცოლის არა-ფინანსური კონტრიბუციები (მაგ., ბავშვების აღზრდა, ოჯახის წევრებზე მზრუნველობა და სახლის საქმეების შესრულება) არ შეფასდება ისე, როგორც ფინანსური კონტრიბუციები, ქალთა უფლებების დაცვის კუთხით რა შედეგს გამოიღებს აღნიშნული? მოცემულ შემთხვევაში, ფიქრობთ, რომ სამოქალაქო სამართალი/სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული ან გენდერულად ბრმა? განმარტეთ, რატომ.

(b)

- დაასახელეთ თქვენს ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის მაგალითი. რა სტრუქტურულ ფაქტორებს ემყარება ეს უთანასწორობა ან რომელი სტრუქტურული ფაქტორები იწვევს დისკრიმინაციას სქესის/გენდერის ნიშნით?
- დაფიქრდით, რა გავლენას ახდენს/როგორ აისახება დისკრიმინაცია და უთანასწორობა სასამართლო პროცესების შედეგებზე. დაასახელეთ იმის მაგალითები, თუ როგორ აისახება ქალების/მამაკაცების მიმართ არსებული საზოგადოების მოლოდინები, გენდერული როლები და სტერეოტიპები სამართლებრივ პროცესებში, რაც იწვევს უთანასწორო შედეგებს. რა არის საჭირო ასეთი სიტუაციების გამოსასწორებლად?
- გენდერული მგრძნობელობა ნიშნავს გენდერული ნაპრალებისა და სტრუქტურული უთანასწორობების აღიარებას და სასამართლო სისტემებში ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. შეგიძლიათ გაიხსენოთ გენდერულად სენსიტიური გადაწყვეტილება საკუთარი გამოცდილებიდან? სხვის მიერ მიღებული გენდერულად სენსიტიური გადაწყვეტილება?
- თქვენი აზრით, თქვენს პროფესიულ საქმიანობაში რთულია გენდერულად სენსიტიური მიდგომის გამოყენება? თუ კი, რატომ? დაასახელეთ, ამ მხრივ არსებული ყველაზე დიდი გამოწვევები.

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- ეს სესია, შესაძლოა, ჩატარდეს მართული თვით-რეფლექსიის (guided self-reflection) სახით, მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შორის ან ჯგუფური დისკუსიის ფორმით, მენტორინგის რამოდენიმე მონაწილის მონაწილეობით, რათა წარმოდგენილი იქნას უფრო მრავალფეროვანი მოსაზრებები და რჩევები.
- b ნაწილში გენდერულ როლებთან დაკავშირებული დისკუსია, შესაძლოა, ეყრდობოდეს მე-2 სესიას. იმ შემთხვევაში, თუ მენტორინგის მონაწილე ვერ ახდენს ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობების იდენტიფიცირებას ან არ მიაჩნია, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობის სფეროები არსებობს, სასურველია, რომ მენტორმა წინასწარ მოამზადოს და მენტორინგის მონაწილეს გააცნოს არსებული მონაცემები და კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით.
- თუ მენტორინგის მონაწილეს უჭირს გენდერული პერსპექტივისა და გენდერული სენსიტიურობის კონცეპტუალიზაცია, სასურველია, გამოყენებული იქნას "გენდერული სათვალეების მორგების" მეტაფორა. ეს ფრაზა შემოიღო ფინეთის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის მინისტრმა და იგი აღნიშნავს კანონმდებლობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესის, პროექტებისა და ა.შ. აქტიურად შემოწმებას იმის დასადგენად, თუ რამდენად თანაბარია მათი გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, და ქალებისა და მამაკაცების საჭიროებებსა და პრიორიტეტებში არსებული განსხვავებების შესახებ კითხვების დასმას. "გენდერული სათვალეები" ნიშნავს, რომ თქვენ იყენებთ ახალ პერსპექტივას ნაცნობი საკითხების შესაფასებლად.

რესურსები

თუ მენტორინგის მონაწილეს უჭირს იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომელშიც ქალები განიცდიან დისკრიმინაციას მის ქვეყანაში, სთხოვეთ, გაეცნოს ქვემოთ წარმოდგენილ დამატებით რესურსებს:

ევროპის საბჭოს კვლევა ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების, დაცვის საშუალებებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ, შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, და უკრაინა.
https://www.coe.int/en/web/genderequality/equal-access-of-women-to-justice#{"14965347":[0]}

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ანგარიშები და დასკვნითი მოსაზრებები
https://www.ohchr.org/en/hrbodies/cedaw/pages/cedawindex.aspx
(ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეყნების მიხედვით)

სესია 4: ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერებისგანხილვა

ეს სესია ხელს უწყობს მენტორინგის მონაწილეების მიერ იმ კონკრეტული ბარიერების განხილვას, რომელსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით და მათ ქვეყანაში/იურისდიქციაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერების იდენტიფიცირებას.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

წარმოდგენილი მასალა შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს პირველი თავის 1.1 სექციას და ონლაინ კურსის 1 მოდულს.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე განიხილავს მართლმსაჯულების ფართოდ გავრცელებულ ბარიერებს და შეძლებს, ერთმანეთისაგან განარჩიოს ის ბარიერები, რომელიც გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ყველა მომხმარებელზე, მხოლოდ ქალებზე ან განსაკუთრებით უარყოფითად ქალებზე აისახება. ამავდროულად, მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს, თუ როგორ კვეთს ერთმანეთს სამართლებრივი და ინსტიტუციური ბარიერები და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერები, რომლებსაც ქალები აწყდებიან.

მოსალოდნელი შედეგი:

მენტორინგის მონაწილე შეძლებს, მოახდინოს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის იმ კონკრეტული ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც არსებობს მის ქვეყანაში ან სასამართლო სისტემაში. ამის შემდეგ, მენტორინგის მონაწილე დაგეგმავს კონკრეტულ ქმედებებს, რომლის განხორციელებაც შეუძლია საკუთარ პრაქტიკაში, ამ ბარიერების გავლენის შესამცირებლად, კონკრეტულად სამართლის იმ სფეროში, რომელშიც თავად საქმიანობს. მენტორინგის მონაწილეები გაიაზრებენ იმ ფაქტს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შეუძლიათ, გადადგან ნაბიჯები სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერების გავლენის შესამცირებლად.

შინაარსი / თემები

(a) დამოუკიდებლად მუშაობის დროს, მენტორინგის მონაწილე საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიმუშავებს (i) სამართლებრივი და ინსტიტუციური ბარიერებისა და (ii) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბარიერების ჩამონათვალს, რომელიც მის ქვეყანაში არსებულ სასამართლო სისტემაში არის გავრცელებული. იგი დაფიქრდება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული ბარიერები ქალებსა და კაცებზე. აღნიშნული სავარჯიშო, შესაძლოა, ასევე, შესრულდეს ჯგუფურ გარემოში, ბრეინსტორმინგის სახით. მეორეს მხრივ, მენტორს შეუძლია, წარმოადგინოს ბარიერების ღია ჩამონათვალი (მაგალითები), რომელსაც მენტორინგის მონაწილე ან მონაწილეთა ჯგუფი განიხილავს და დამატებითი ბარიერებით შეავსებს.

(b) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერების კატეგორიზაციისა და განხილვის შემდგომ, მენტორინგის მონაწილემ ან მონაწილეთა ჯგუფმა, მენტორის ხელმძღვანელობით, უნდა იმსჯელოს იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ პირადად მათ, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების გავლენის შესამცირებლად.

სავარჯიშოები

(a) მენტორინგის მონაწილეებს სთხოვეთ, გაეცნონ ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილს, რომელიც ასახავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების კატეგორიებს და განიხილონ, რამდენად ასახავს აღნიშნული მათ გამოცდილებას.

ამის შემდეგ, მენტორი მენტორინგის მონაწილეებს წარუდგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ფართოდგავრცელებული ბარიერების ღია ჩამონათვალს და ისინი იმსჯელებენ, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება თითოეული ბარიერი (მენტორინგის მონაწილეები ასევე, იმსჯელებენ ბარიერი სამართლებრივია, ინსტიტუციური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული). მენტორმა მენტორინგის მონაწილეებს უნდა სთხოვოს, დეტალურად განიხილონ, თუ კონკრეტულად რას მოიცავს ბარიერები და იმსჯელონ მათი პრობლემურობის მიზეზებზე. გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ, შესაძლოა, ბარიერი რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში არ ექცეოდეს. შესაბამისად, ბარიერების კატეგორიზაციაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რას მოიცავს თითოეული ბარიერი.

ლიმიტირებული ფინანსური რესურსები (იურიდიულ მომსახურების მაღალ ხარჯებთან ერთად)
ქალების ნაკლებობა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის
დისკრიმინაციული კანონმდებლობა
უნდობლობა სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ
განათლების დაბალი დონე (სამართლებრივი უფლებების შესახებ ცნობიერების ნაკლებობა)
ხარვეზები კანონმდებლობაში (კანონმდებლობა არ რეაგირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის გარკვეულ შემთხვევებზე)
გენდერული სტერეოტიპები
იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ტრენინგების ნაკლებობა (მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ)
უმცირესობის სტატუსი
ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (მაგალითად, სასამართლოს შენობები პანდუსების გარეშე, მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისათვის მასალების ნაკლებობა და ა.შ.)
კორუფცია (ანგარიშვალდებულების ნაკლებობა)
მზრუნველობის არათანაბარი ტვირთი (მაგალითად, ბავშვზე ზრუნვის მოვალეობა)
….

(b) მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ, მოამზადონ ცხრილი ან საკონტროლო ჩამონათვალი (ე.წ. ჩეკლისტი), სადაც ისინი აღრიცხავენ თავიანთ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა რეაგირებას მოახდენენ ბარიერებზე, რომელიც განსაკუთრებით ქალებზე ახდენს გავლენას და რომელიც ყველაზე მეტად რელევანტურია. ისინი სტრატეგიულად უნდა მიუდგნენ აღნიშნულ საკითხს. ამავდროულად, მათ უნდა გაიხედონ სამართლებრივი და ინსტიტუციური ბარიერების მიღმა და იფიქრონ პროაქტიული როლის შესრულებაზე. კატეგორიების ნიმუშები ქვემოთ არის წარმოდგენილი.

საკონტროლო ჩამონათვალი

რისი გაკეთება შემიძლია დაუყოვნებლივ, ჩემი საქმიანობის სფეროში? (პრობლემის გადაჭრის მოკლევადიანი გზები)

- სამართლებრივი უფლებების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენები მოავამზადო და გავავრცელო ჩემს ოფისში
- შეხვედრების ან მოსმენების დანიშვნამდე დავის მხარეებს (მსხვერპლს, მოწმეს) ვკითხო, აქვთ თუ არა ბავშვის დატოვების საშუალება
- გავაცნობიერო და თავი შევიკავო გენდერული სტერეოტიპების გამოყენებისგან.

რა მიმართულებით შემიძლია ვითანამშრომლო იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან? (გრძელვადიანი ღონისძიებები)

- უწყვეტი იურიდიული განათლების კურსების შემუშავება, რომელიც მოიცავს ქალთა უფლებების საკითხებს
- რეკრუტმენტის, ახალი თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების პრაქტიკის გადახედვა ჩემს დაწესებულებაში (გენდერული პერსპექტივის / "გენდერული სათვალის" გამოყენება)
- გენდერული მგრძნობელობის ხელშეწყობა და მენტორობა.

როგორ გამოვიყენო საკუთარი ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება? (გრძელვადიანი აქტივობები)

- უფასო იურიდიული დახმარების სერვისების გაფართოების ადვოკატირება (მაგალითად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მოცვის მიზნით)
- ადვოკატთა ადგილობრივ ასოციაციებში ან სხვა ორგანიზაციებში მუშაობა, რათა წარმოჩინდეს პოზიტიური სასამართლო შედეგები და სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და ეფექტიანობა.
- მედიასთან თანამშრომლობა, რათა გაუმჯობესდეს საზოგადოების ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაიცვას სასამართლო სისტემამ ქალთა უფლებები .

...

განსახილველი თემები

(a) ყველაზე ხშირად, რა მიზეზით მიმართავენ ადამიანები სასამართლო სისტემას იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა მათი უფლებები? ეს მიზეზები განსხვავდება ქალებსა და მამაკაცებს შორის?

ტრენინგის სახელმძღვანელოს ან ონლაინ კურსის მასალებზე დაყრდნობით, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: (i) რა სამართლებრივ და ინსტიტუციურ ბარიერებსა და (ii) სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ბარიერებს ხედავთ სასამართლო სისტემაში, რომელშიც თქვენ მუშაობთ (გააკეთეთ ჩამონათვალი). ეს ჩამონათვალი შეიცავს ბარიერებს, რომელსაც ყველაზე ხშირად ქალები აწყდებიან? ან ბარიერებს, რომელსაც განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა აქვს ქალებზე? დაფიქრდით, თუ რა საბოლოო გავლენა ექნება უთანასწორობის რომელიმე ასპექტს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე (მაგალითად, თუ ბავშვებზე ზრუნვის უდიდესი ტვირთი მოდის ქალებზე, ამას რა გავლენა ექნება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქალი სასამართლოში წასვლას ან პროკურორთან შეხვედრას? მის გადაწყვეტილებაზე, სასამართლოს მიმართოს განქორწინების მოთხოვნით? მის სურვილზე, ითანამშრომლოს პროკურატურასთან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით?).

არსებობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარკვეული ბარიერები, რომელიც ყველაზე ხშირად სისხლის სამართლის საქმეებში გვხვდება (სამოქალაქო საქმეებთან შედარებით)? რას იტყვით სამართლის სხვა სფეროებზე (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალი, საოჯახო სამართალი)? განიხილეთ კონკრეტული ბარიერის პოტენციური შედეგები (მაგალითად, "სამართლებრივი წიგნიერების"/უფლებების შესახებ ცოდნის ნაკლებობა).

(b) განიხილეთ ის სხვადასხვა ბარიერები, რომელთაც ქალები აწყდებიან და დაფიქრდით, რა არის საჭირო ამ ბარიერების აღსაკვეთად ან, როგორც მინიმუმ, მათი გავლენის შესამცირებლად? (ბრეინსტორმინგი ან დისკუსია ჯგუფურ გარემოში)

რაიმე ტენდენციებს ამჩნევთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის რეაგირებაა საჭირო?

თქვენს შესაძლო როლს როგორ ხედავთ ამ ბარიერების აღმოფხვრის ხელშეწყობის კუთხით?

გაითვალისწინეთ, რომ მენტორმა მენტორინგის მონაწილეს უნდა მისცეს მიმართულება, რათა მან იაზროვნოს სტრატეგიულად, მოკლევადიან ღონისძიებებთან დაკავშირებით და იმასთან მიმართებით, თუ როგორ უნდა გახდეს უფრო აქტიური, საკუთარი პროფესიის ფარგლებში, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ცვლილებების განსახორციელებლად. სასურველია, რომ მენტორინგის მონაწილეებმა შეიმუშაონ იმ ცვლილებების ცხრილი, რომელსაც განახორციელებენ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- ამ სესიის ეფექტიანად გამოყენება შესაძლებელია მენტორსა და მენტორინგის რამოდენიმე მონაწილეს შორის ჯგუფური დისკუსიის ფარგლებში, რათა წარმოჩინდეს ქალებსა და მამაკაცებზე კონკრეტული ბარიერების გავლენის შესახებ განსხვავებული პერსპექტივები. სასურველია ბრეინსტორმინგი იმის შესახებ, თუ რა ქმედებები შეიძლება განხორციელდეს ქალებისთვის მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. თუ მენტორინგის მონაწილეები წარმოადგენენ სამართლის სხვადასხვა სფეროს (სამოქალაქო და სისხლის სამართალი), აღნიშნული ხელს შეუწყობს დისკუსიის გამდიდრებას. თუმცა, თუ ასე არ არის, დისკუსიის გაფართოების მიზნით მენტორს შეუძლია, დასვას კითხვები სამართლებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებით.

რესურსები

ევროპის საბჭოს კვლევა ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების, დაცვის საშუალებებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ, შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, და უკრაინა
https://www.coe.int/en/web/genderequality/equal-access-of-women-to-justice#{"14965347":[0]}

სესია 5: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში

ამ სესიაზე მენტორინგის მონაწილეები უფრო სიღრმისეულად განიხილავენ იმ დაბრკოლებებს, რომელსაც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლი ქალები აწყდებიან სასამართლო სისტემაში (განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში). იდეალურ შემთხვევაში, ეს სესია მე-4 სესიის შემდეგ ჩატარდება, რათა მენტორინგის მონაწილეებმა მე-4 სესიის ფარგლებში გაწეული საქმიანობისა და დისკუსიის შედეგები გამოიყენონ.

HELP-ის კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

მასალა ეფუძნება კონცეფციებს, რომელიც წარმოდგენილია ტრენინგის სახელმძღვანელოს პირველ მოდულში (სექცია 1.1.3) და დეტალურად არის განხილული HELP-ის ონლაინ კურსის მე-5 მოდულში.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილეები უფრო კარგად გაიაზრებენ, თუ როგორ უწყობს ხელს მართლმსაჯულების ბარიერები საქმეთა გადინებას ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში (კონკრეტულად კი, ასეთი საქმეების სასამართლო სისტემიდან "გასვლის" ფენომენს, მაშინ, როდესაც ისინი პროგრესირებას განიცდიან სისხლისსამართლებრივი საჩივრიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე და განაჩენის გამოტანამდე). მენტორინგის მონაწილეები იაზრებენ, თუ რა გავლენას ახდენს იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა ქმედებები ან უმოქმედობა "მართლმსაჯულების ჯაჭვის" ფარგლებში, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. მენტორინგის მონაწილეები, ასევე, დაფიქრდებიან იმაზე, თუ როგორ ზრდის ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით" (სტამბოლის კონვენცია) დადგენილი სტანდარტები.

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილეები მოახდენენ იმ ბარიერების იდენტიფიცირებას, რომელიც ხელს უშლის ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომას და გაიაზრებენ, რომ ასეთი ბარიერები ურთიერთდაკავშირებულია (მაგალითად, არაადეკვატური გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავლენას ახდენს პროკურორების საქმიანობაზე; პროკურორების არაადეკვატურმა ქმედებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს მოძალადის უდანაშაულოდ ცნობა). მენტორინგის მონაწილეები შეძლებენ, გააცნობიერონ თავიანთი როლი მართლმსაჯულების ჯაჭვში და კოორდინირებული მიდგომების მნიშვნელობა, როგორც ეს გათვალისწინებულია სტამბოლის კონვენციაში.

შინაარსი / თემები

(a) მენტორინგის მონაწილე ან მონაწილეთა ჯგუფი გაეცნობა ქალთა მიმართ ძალადობის სისხლის სამართლის საქმეში "მართლმსაჯულების ჯაჭვის" ცნებას (იხ. ტრენინგის სახელმძღვანელო, გვ.18 ან დისტანციური კურსის მე-5 მოდული). ამ შემთხვევაში, ტიპური მართლმსაჯულების ჯაჭვი იწყება მართლმსაჯულების სისტემასთან მსხვერპლის პირველი კონტაქტით (როგორც წესი, პოლიციასთან ინტერაქციით) და სრულდება მსჯავრდებით სისხლის სამართლის საქმეში და/ან სასამართლო პროცესის შემდგომი პროცესებით. მართლმსაჯულების ჯაჭვი შედგება სხვადასხვა ნაბიჯებისგან, ხოლო თითოეულ ნაბიჯს უკავშირდება გარკვეული კითხვები და შედეგები. ვიზუალურად, მართლმსაჯულების ჯაჭვი, დაახლოებით, ასე გამოიყურება:



მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე, სხვადასხვა სამართალდამცავი უწყებებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა რეაგირება გავლენას ახდენს მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე, გააგრძელოს ან უკან გამოიხმოს საქმე. მას შემდეგ, რაც პასუხი გაეცემა ზემოთ წარმოდგენილ კითხვებს (კი ან არა) - მაგალითად, "პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა? კი/არა" - განხილული უნდა იქნას თითოეული გადაწყვეტილების გავლენა.

(b) მენტორინგის მონაწილე წარმოიდგენს ქალთა მიმართ ძალადობის სცენარს/ჰიპოთეტურ შემთხვევას და მას განიხილავს მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეული ნაბიჯის ჭრილში; კერძოდ, იგი დასვამს კითხვას, თუ რა იქნება იურიდიული პროფესიის შესაბამისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგი (საქმის პროგრესირება მართლმსაჯულების ჯაჭვში ან პროგრესირების შეჩერება). მენტორინგის მონაწილემ უნდა ჩათვალოს, რომ მსხვერპლის საჩივარი ლეგიტიმურია, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად; მიზანს წარმოადგენს არა საქმის შეფასება, არამედ იმის გააზრება, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ეტაპებზე მიღებული გადაწყვეტილებები მსხვერპლისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

აღნიშნულის ნაცვლად, მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ, გაეცნონ საქმის "Volodina v. Russia" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება) ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ქმედებები/უმოქმედობა მართლმსაჯულების ჯაჭვის ეტაპებს დაუკავშირონ და განიხილონ, თუ რა შედეგი მოაქვს აღნიშნულ ქმედებებს/უმოქმედობას მსხვერპლისთვის. გაითვალისწინეთ, რომ Volodina-ს საქმე მართლმსაჯულების მთლიან ჯაჭვს არ გაივლის, არამედ, იგი დასრულდება სასამართლო პროცესის ეტაპამდე.

(c) მას შემდეგ, რაც მენტორინგის მონაწილეები მართლმსაჯულების ჯაჭვის გამოყენებით მოახდენენ საქმეთა გადინების წერტილების იდენტიფიკაციას და სხვადასხვა ეტაპებზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებს განიხილავენ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევის ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით, მენტორი მიუთითებს სტამბოლის კონვენციაზე და კერძოდ, მე-4 თავზე, რომელიც შეეხება გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, პროცედურულ კანონმდებლობასა და დამცავ ზომებს და მე-2 თავის მე-7 მუხლზე, რომელიც შეეხება კოორდინაციას. სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული მოვალეობების შესწავლით, მენტორინგის მონაწილე შეძლებს განსაზღვროს, თუ რა ღონისძიებებია საჭირო საქმეთა გადინების თავიდან ასაცილებლად (და

ყურადღება!

მენტორებო, გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე სესიაში გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე რუსეთის წინააღმდეგ. დარწმუნდით, რომ მენტორინგის მონაწილეს სწორად ესმის დავალების არსი. სხვა იურისდიქციიდან რეალური საქმის გამოყენება არ ემსახურება სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კრიტიკის ან შედარების მიზანს. არამედ, ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში წამოჭრილია საკითხები, რომელიც ევროპის საბჭოს არაერთ წევრ სახელმწიფოში პრობლემურია. საქმე შეირჩა იმის გამო, რომ მასში ჩანს ის ელემენტები, რომელიც ბევრი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი.

6. ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-194321

სავარჯიშოები

(a) მენტორინგის მონაწილეები ეცნობიან ტრენინგის სახელმძღვანელოში (ან ზემოთ) წარმოდგენილ ცხრილს, რომელიც მართლმსაჯულების ჯაჭვს ასახავს, ან ონლაინ კურსის მე-5 მოდულში წარმოდგენილი მართლმსაჯულების ჯაჭვის სავარჯიშოს, ან თავად ქმნიან მართლმსაჯულების ჯაჭვს, რომელიც შეესაბამება ქალთა მიმართ ძალადობის მათთვის ნაცნობ ფორმას.

(b) შემდეგ, მენტორინგის მონაწილეები განიხილავენ ჰიპოთეტურ შემთხვევას ("ტიპურ" შემთხვევას თავიანთი პრაქტიკიდან) ან მუშაობენ რეალურ საქმეზე, თავიანთი ქვეყნიდან. ზოგადად, რეკომენდებულია, რომ მენტორინგის მონაწილეებმა არ გამოიყენონ საქმე, რომელსაც იცნობენ, რადგან მათ, შესაძლოა, არ მიაქციონ ყურადღება არასათანადო ქმედებებს/უმოქმედობას თავიანთ სამართლებრივ სისტემაში ან არ მოისურვონ გარკვეული პროფესიული ჯგუფების მიერ ჩადენილი არასათანადო ქმედებების/უმოქმედობის იდენტიფიცირება. სხვა იურისდიქციის საქმის განხილვის შემთხვევაში (მაგალითად, Volodina-ს საქმე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ), მენტორინგის მონაწილეები შეძლებენ, სახელმწიფოს არასათანადო ქმედებები/უმოქმედობა ღიად და "არაპერსონალურად" შეაფასონ. ამავდროულად, რეკომენდებულია, რომ Volodina-ს საქმესთან დაკავშირებით მენტორინგის მონაწილეებმა განიხილონ, თუ რა ჰიპოთეტური შედეგები მოყვებოდა იმას, საქმე რომ სასამართლოს განეხილა. მენტორინგის მონაწილეების დავალება მდგომარეობს მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეული "რგოლის" განხილვაში, იმის იდენტიფიცირებაში, თუ რა მოხდა (ან რა გაკეთდა არასწორად) თითოეულ ეტაპზე და იმის დადგენაში, თუ რა გავლენა ჰქონდა თითოეულ შედეგს მომდევნო რგოლზე და, საბოლოოდ, მსხვერპლის მიერ მართლმსაჯულების წვდომაზე.

(c) მართლმსაჯულების ჯაჭვის განხილვისა და საქმის გადინების წერტილების იდენტიფიცირების შემდეგ (მაგალითად, როდესაც პოლიციამ უარი თქვა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლი დაექვემდებარა შემდგომ ფიზიკურ ძალადობასა და მუქარას მეუღლის მხრიდან), მენტორინგის მონაწილემ უნდა განიხილოს სტამბოლის კონვენცია. მომდევნო დავალება მდგომარეობს სტამბოლის კონვენციის იმ კონკრეტული მოთხოვნების იდენტიფიცირებაში, რომელიც შეესაბამება მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეულ ეტაპს (მაგალითად, სამართალდამცავ ორგანოებს რისკის შეფასება უნდა განეხორციელებინათ - სტამბოლის კონვენციის 50-ე მუხლი. ეს ასე რომ მომხდარიყო, სავარაუდო შედეგი იქნებოდა...).

განსახილველი თემები

(a) რა ძირითადი "რგოლები" არსებობს მართლმსაჯულების ჯაჭვში, როდესაც საქმე ეხება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევას, თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით (გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ძალადობის ფორმის მიხედვით)? პირველ რიგში, დაფიქრდით, მსხვერპლს როდის ამჩნევს მართლმსაჯულების სისტემა. რა ეტაპზე სრულდება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების უმეტესობა მსჯავრდებით? გამართლებით? ან სხვა შედეგით?

თქვენ იცნობთ ასეთი საქმეების გადინების კონცეფციას? გინახავთ მონაცემები ამ ფენომენთან დაკავშირებით?

(b) Volodina-ს საქმის (ან მენტორის/მენტორინგის მონაწილის მიერ შერჩეული სხვა საქმის) განხილვისას, სისტემურად განიხილეთ მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეული "რგოლი" და დაფიქრდით, თუ როგორი იყო ქ-ნ ვოლოდინას გამოცდილება მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით. თითოეული ეტაპის შესახებ დასვით კითხვა: რა მოხდა? (რა ქმედება განახორციელა ქ-ნ ვოლოდინამ და რა ქმედება განახორციელეს ან არ განახორციელეს სამართალდამცავმა ორგანოებმა/იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა?); შედეგად, ამან ხელი შეუწყო თუ შეაფერხა საქმის პროგრესი? სხვა რა ქმედების განხორციელება შეიძლებოდა მიღებული შედეგის თავიდან ასაცილებლად?

(c) ჩამოთვალეთ საქმის გადინების თქვენს მიერ იდენტიფიცირებული ძირითადი წერტილები, მართლმსაჯულების ჯაჭვში არსებული რგოლისა და მონაწილე სამართალდამცავი ორგანოს/იურიდიული პროფესიის წარმომადგენლის გათვალისწინებით. არ დაგავიწყდეთ, რომ "მართლმსაჯულების ჯაჭვის" კონცეფცია ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ უკავშირდება სისტემის ერთი ნაწილი მეორეს. შესაბამისად, ყურადღება არ გაამახვილოთ მხოლოდ ერთ პროფესიულ ჯგუფზე! არამედ, დაფიქრდით, თუ როგორ ახდენენ ისინი ერთმანეთთან ინტერაქციას (მაგალითად, პროკურორები როგორ ახდენენ პოლიციის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა სახის მტკიცებულება უნდა იქნას მოპოვებული გამოძიების ეტაპზე?).

ახლა, გადახედეთ სტამბოლის კონვენციას, განსაკუთრებით კი მოვალეობებს, რომელიც შეეხება გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას. რა კონკრეტული ზომებია საჭირო საქმეთა გადინების ან ძალადობის ესკალაციის/გამეორების თავიდან ასაცილებლად? რა ზომებია საჭირო ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე წვდომის გასაუმჯობესებლად (მაგ., ქ-ნ ვოლოდინას შემთხვევაში) და როგორ აღმოფხვრის ეს ზომები მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერებს ან შეამცირებს მათ გავლენას?

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- ეს სესია ეყრდნობა ოჯახში ძალადობის "ტიპურ" შემთხვევას, თუმცა, სავარჯიშოს გამოყენება შესაძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებთან დაკავშირებითაც, როგორიცაა, მაგალითად, გაუპატიურება, სექსუალური შევიწროება, ადევნება, "ღირსების" სახელით ჩადენილი დანაშაული და ა.შ. მენტორმა, შესაძლოა, მენტორინგის მონაწილესთან ერთად განიხილოს სისხლის სამართლის ის სფეროები, რომელშიც მათ ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ. თუ მენტორინგის მონაწილე უკვე იცნობს მართლმსაჯულების ჯაჭვის კონცეფციას, სასურველია, რომ მენტორმა მენტორინგის მონაწილეს სთხოვოს, მართლმსაჯულების ჯაჭვის ჭრილში განიხილოს ქალთა მიმართ ძალადობის ის ფორმა, რომელსაც მენტორინგის მონაწილე პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ყველაზე ნაკლებად იცნობს. მეორეს მხრივ, თუ მართლმსაჯულების ჯაჭვი მენტორინგის მონაწილისთვის სიახლეს წარმოადგენს, რეკომენდებულია, რომ მან განიხილოს ქალთა მიმართ ძალადობის "ტიპური" შემთხვევა, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობს.
- ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილება. შესაძლებელია, რომ ეს გადაწყვეტილებები გამოყენებული იქნას მართლმსაჯულების ჯაჭვის სავარჯიშოს შესასრულებლად. მეორეს მხრივ, მენტორს შეუძლია, შეიმუშაოს ჰიპოთეტური საქმე, რომელშიც ხაზგასმული იქნება გარკვეული საკითხები (მაგალითად, პროკურორების ან მოსამართლეების კონკრეტული ქმედებები).

რესურსები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Volodina-ს საქმეში, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-194321

სტამბოლის კონვენციის ტექსტი ევროპის საბჭოს ყველა ენაზე ხელმისაწვდომია აქ: https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/text-of-the-convention

ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ HELP პლატფორმის დისტანციურ კურსთან ერთად, სასურველია, რომ მენტორინგის მონაწილეები დარეგისტრირდნენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დისტანციურ კურსზე, რათა თემას უფრო დეტალურად ჩაუღრმავდნენ. კურსი, ასევე, შეიცავს მოდულს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. იგი რამოდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი.

გამოცემა "Progress of the World's Women: In Pursuit of Justice" შეიცავს თავს მართლმსაჯულების ჯაჭვის კონცეფციის შესახებ (თავი 2), რომელშიც წარმოდგენილია კაზუსი ბულგარეთიდან (Bevacqua and S. v. Bulgaria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2008) და ინფორმაცია გაუპატიურების საქმეების გადინების შესახებ, სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით (UN Women, 2011); ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენებზე: https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2011/7/progress-of-the-world-s-women-in-pursuit-of-justice.

გამოცემა "Resource book for trainers on effective prosecution responses to violence against women and girls" შეიცავს თავს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელ ბარიერებზე, რომელშიც წარმოდგენილია მართლმსაჯულების ჯაჭვის სავარჯიშო (გვ.102), რომელიც, შესაძლოა, გამოგადგეთ. (UNODC, 2017). https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Gender/16-09583_ebook.pdf.

7 http://help.elearning.ext.coe.int.
8 https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016805a32ab

სესია 6: საერთაშორისო სამართლის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში

ამ სესიის მიზანია პრაქტიკოსი იურისტების უნარების განმტკიცება, რათა მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალწარმოებაში ეფექტიანად გამოიყენონ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

ეს სესია შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს მე-2 თავს და ონლაინ კურსის მე-2 მოდულს. ორივე მათგანი მიმოიხილავს რელევანტურ საერთაშორისო სამართალს (გაეროს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის როგორც მყარ [შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე], ისე რბილ სამართალს).

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე ისწავლის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებას საკუთარ რეგულარულ პრაქტიკაში, ქალთა უფლებების დასაცავად. მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს, თუ რომელი ხელშეკრულებები ან კონვენციები (რბილი სამართლის ჩათვლით) გავრცელდება კონკრეტულ საქმეებზე და რა პროცედურებია საჭირო იურიდიულ საქმეებში მათ გამოსაყენებლად.

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილე შესაძლოა, იცნობდეს ქალთა უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, მაგრამ, არ იცოდეს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ეს სტანდარტები ყოველდღიურ პრაქტიკაში. მენტორინგის მონაწილე უფრო კომფორტულად შეძლებს, მიუთითოს ქალთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ არსებობს.

შინაარსი / თემები

ამ სესიის ფარგლებში, მენტორის ხელმძღვანელობის ქვეშ, მენტორინგის მონაწილე შეძლებს, თავად გამოიკვლიოს პროცედურები, რომლებიც უკავშირდება საკუთარ იურისდიქციაში საერთაშორისო სამართლის გამოყენებას.

სავარჯიშოები

სავარჯიშოებს, შესაძლოა, ჰქონდეს თანმიმდევრული დავალებების ფორმა, კერძოდ:

(a) ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებული სამართლის წყაროების, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სამართლის გამოყენებადობის განხილვა (შიდა სამართალწარმოებაში საერთაშორისო სამართალს იგივე ძალა აქვს, რაც შიდასახელმწიფოებრივს სამართალს?).

(b) შიდასხელმწიფოებრივ სამართალში არსებული იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლის შევსებაც შესაძლებელია საერთაშორისო სამართლით (ხელშეკრულებები და რბილი სამართალი) - ქალთა უფლებებთან ან გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით.

(c) იურისპრუდენციის და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, შიდა სასამართლოების მიერ საერთაშორისო სამართლის გამოყენების ინტერპრეტაციის ან მასზე დაყრდნობის მაგალითების მოძიების მიზნით.

(d) იმ გზების იდენტიფიცირება, რომელთა საშუალებითაც მენტორინგის მონაწილე შეძლებს, საკუთარ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

განსახილველი თემები

(a) საერთაშორისო სამართალი სამართლის დამატებითი თუ შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე წყაროა? არის რაიმე განსხვავება ხელშეკრულებითი სამართლის (მკაცრი სამართალი) და რბილი სამართლის გამოყენებას შორის? როგორია სამართლის სხვადასხვა წყაროების გამოყენების პროცედურული ასპექტები?

(b) მას შემდეგ, რაც გაეცანით ადამიანის უფლებათა იმ ძირითად ინსტრუმენტებს, რომელიც ქალთა უფლებებს უკავშირდება (მაგალითად, HELP-ის დისტანციური კურსის ან დამატებითი საკითხავის საშუალებით), როგორ ფიქრობთ, რომელ საკითხებს ფარავს საერთაშორისო სამართალი უფრო ამომწურავად, ვიდრე შიდა სამართალი? ან რომელ სფეროებში მიგაჩნიათ, რომ კონკრეტული საერთაშორისო სამართალის ნორმა უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქალთა უფლებების დაცვა?

(c) როგორ ხდება საერთაშორისო სამართლის მითითება შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში? სამართლის რომელ სფეროებში?

(d) სად შეიძლება საერთაშორისო სამართლის ან სტანდარტების მითითება, მაგალითად, სამართლებრივი არგუმენტების განსავითარებლად, სამართლებრივი დასაბუთების წარსადგენად ან გადაწყვეტილებებში? შეგიძლიათ, დაასახელოთ საერთაშორისო სამართლის გამოყენების კონკრეტული შემთხვევები საქმეებში, რომელიც ქალთა უფლებებს ეხება?

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- თუ მენტორი გადაწყვეტს, რომ მენტორინგის მონაწილეს დამატებით ხელმძღვანელობა სჭირდება, ეს სესია, შესაძლოა სხვანაირად წარიმართოს. მენტორინგის მონაწილეს შეუძლია შეარჩიოს საქმე საკუთარი პრაქტიკიდან ან საქმე, რომელსაც თავად იცნობს (ქალთა უფლებების საქმე და იდეალურ შემთხვევაში, კომპლექსური საქმე). მას შემდეგ, რაც მენტორინგის მონაწილე მოახდენს საქმეში გამოყენებული ყველა შესაბამისი შიდა კანონმდებლობის ნორმების იდენტიფიცირებას, იგი გაეცნობა ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებებს (ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, სტამბოლის კონვენციას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას და ა.შ.) და დაადგენს, თუ რა სფეროებში არსებობს გადაფარვა ან განსხვავება. მენტორინგის მონაწილემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სფეროებს, სადაც საერთაშორისო სტანდარტები აუმჯობესებს სამართლებრივ არგუმენტებს ქალთა უფლებების დარღვევის შემთხვევებში.
- თუ შეუძლებელია ისეთი საქმის მოძიება, რომელიც სათანადოდ კომპლექსურია, სასურველია, რომ მენტორმა მოამზადოს ჰიპოთეტური საქმეები, რომელიც ეფუძნება სამართლის სხვადასხვა სფეროებს.

რესურსები

თუ მენტორინგის მონაწილეს სურს, გაეცნოს ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად დოკუმენტებს, მისთვის სასარგებლო იქნება ქვემოთ წარმოდგენილი რესურსები, სადაც თავმოყრილია ევროპის საბჭოსა და გაეროს სისტემების დოკუმენტები:
ევროპის საბჭოს სტანდარტები და მექანიზმები გენდერულ თანასწორობაზე
https://www.coe.int/en/web/genderequality/standards-and-mechanisms

ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (2014)
https://www.ohchr.org/Documents/Events/WHRD/WomenRightsAreHR.pdf

თუ მენტორინგის მონაწილეს გაუჭირდება იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც ეროვნული კანონმდებლობა (ან პრაქტიკა) არასაკმარისად იცავს ქალთა უფლებებს ქვეყანაში, შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვა. გადაწყვეტილებებში ჩანს, სასამართლო რა შემთხვევაში მიიჩნევს, რომ ეროვნული კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს (ე.ი. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას). გადაწყვეტილებებს მოკლედ მიმოიხილავს სასამართლოს ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა განახლებაც ხდება პერიოდულად:

ფაქტობრივი მონაცემები გენდერული თანასწორობის შესახებ:
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Gender_Equality_ENG.pdf

ფაქტობრივი მონაცემები ოჯახში ძალადობის შესახებ:
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Domestic_violence_ENG.pdf

ფაქტობრივი მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ:
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Violence_Woman_ENG.pdf

გენდერული თანასწორობის განყოფილებამ, ასევე, შეადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კრებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე:
https://rm.coe.int/compilation-echr-case-law-1-august-2019/168096d977

მენტორინგის მონაწილეებს შეუძლიათ, ასევე, გაეცნონ ევროპის საბჭოს კვლევებს ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების, დაცვის საშუალებებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ, შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვას რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, და უკრაინა:
https://www.coe.int/en/web/genderequality/equal-access-of-women-to-justice#{"14965347":[0]}

Avropa Şurasının qadınların ədalət mühakiməsinə çıxışı qarşısında maneələr, hüquqi müdafiə vasitələri və ən yaxşı təcrübələr haqqında milli araşdırması: Ermənistan, Azərbaycan, Gürcüstan, Moldova Respublikası, Ukrayna (2017) da müraciət edilə bilər. https://www.coe.int/en/web/genderequality/equal–access–of–women–to– justice#{«14965347»:[0]}

სესია 7: პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა

ამ სესიის მიზანია, მენტორინგის მონაწილეებმა იმუშაონ რეალურ საქმეებზე და გამოიკვლიონ, თუ რამდენად განსხვავებული შედეგი დადგებოდა იმ შემთხვევაში, საქმის განხილვა მათ ქვეყანაში რომ მომხდარიყო.

სესია შედგება ორი ნაწილისგან - (კაზუსი A) სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა, სამოქალაქო სამართლის პრაქტიკოსი იურისტებისთვის და (კაზუსი B) ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა, სისხლის სამართლის პრაქტიკოსი იურისტებისთვის. მენტორმა და მენტორინგის მონაწილემ ერთად უნდა გადაწყვიტონ, თუ რა ტიპის საქმეს განიხილავენ. შესაძლებელია ორივე საქმის განხილვაც.

სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის მიზანია, მენტორინგის მონაწილემ გამოიკვლიოს, თუ როგორ უნდა იქნას განხილული სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა - კერძოდ, გაეცნობა სტანდარტებს, მტკიცებულებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მტკიცების ტვირთის გადანაცვლებისთვის საჭირო მტკიცებულებას.

სისხლის სამართლის საქმის განხილვის მიზანია, მენტორინგის მონაწილემ დაინახოს საქმის განხილვის ის განსხვავებული შედეგი, რომელიც დადგებოდა ქვეყანა რომ კონვენციის მხარე ყოფილიყო.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

ეს სესია შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოსა და ონლაინ კურსის სხვადასხვა ნაწილებს. დისკრიმინაციის შემთხვევა (კაზუსი A) შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს პირველ მოდულს (სექცია 1.3) და მეოთხე მოდულს (სექცია 4.3 მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ). ონლაინ კურსის მე-3 მოდული შეეხება დისკრიმინაციას სქესის და გენდერის ნიშნით.

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა (კაზუსი B) შეესაბამება ტრენინგის სახელმძღვანელოს მე-3 და მე-4 მოდულებს და ონლაინ კურსის მე-2 და მე-5 მოდულებს.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე მიიღებს პრაქტიკულ გამოცდილებას იმ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების კუთხით, რომელიც მის ქვეყანაში ხშირად არ გამოიყენება. მენტორინგის მონაწილე გაეცნობა საერთაშორისო პრაქტიკას და გაიაზრებს, თუ რა შემთხვევაშია საერთაშორისო სამართლის გამოყენება შესაძლებელი იმ უფლებების დასაცავად, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არ არის მოცული.

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების რელევანტურობას. იგი, ასევე, შეიძენს პრაქტიკულ გამოცდილებას ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით სამართლებრივი არგუმენტების შემუშავების კუთხით.

შინაარსი / თემები

ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც მენტორინგის მონაწილე შეისწავლის, უნდა ეფუძნებოდეს რეალურ კომუნიკაციებს, რომელიც CEDAW კომიტეტმა განიხილა. კომიტეტის განხილვა არ არის სასამართლო პროცესი და იგი არ შეიცავს მითითებებს ეროვნულ კანონმდებლობასა თუ პროცედურებზე. მენტორინგის მონაწილე უნდა გაეცნოს კონკრეტულ საქმეებსა და CEDAW კომიტეტის მიგნებებს, რის შემდეგაც მენტორი მასთან ერთად განიხილავს, თუ როგორ მოხდებოდა იგივე საქმის განხილვა და გადაწყვეტა მენტორინგის მონაწილის იურისდიქციაში. მენტორინგის მონაწილემ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სამართლებრივი არგუმენტები, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობაზე მითითებით. რეკომენდებულია, რომ მენტორინგის მონაწილე ჯერ გაეცნოს ფაქტობრივი გარემოებებს (CEDAW კომიტეტის მიერ განხილული კომუნიკაციებიდან), ხოლო მოგვიანებით გაეცნოს კომიტეტის დასკვნებს - მას შემდეგ, რაც შეიმუშავებს საკუთარ სამართლებრივ არგუმენტებს.

ყურადღება!

მენტორებო, გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე სესიაში გამოიყენება CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებები სლოვაკეთთან და რუსეთთან დაკავშირებით. დარწმუნდით, რომ მენტორინგის მონაწილეს სწორად ესმის დავალების არსი. სხვა იურისდიქციიდან რეალური საჩივრების გამოყენება არ ემსახურება სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კრიტიკის ან შედარების მიზანს. არამედ, ამ საქმეებში წამოჭრილია საკითხები, რომელიც ევროპის საბჭოს არაერთ წევრ სახელმწიფოში პრობლემურია.

კაზუსი A: სქესის ნიშნით დისკრიმინაცია

ეფუძნება ფაქტობრივ გარემოებებს დ.ს.-ს (სლოვაკეთი) მიერ CEDAW კომიტეტისათვის წარდგენილი კომუნიკაციიდან.

საქმე შეეხება დ.ს.-ს განთავისუფლებას სამსახურიდან მას შემდეგ, რაც იგი დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. დ.ს. აცხადებდა, რომ დამსაქმებელმა მის წინააღმდეგ განახორციელა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია.

მენტორინგის მონაწილე უნდა გაეცნოს ფაქტობრივ გარემოებებს და საჩივარს და შეიმუშაოს საქმის თეორია, განსაზღვროს შესაბამისი კანონმდებლობა (იმ დაშვებით, რომ საქმის განხილვა ხდება მის ქვეყანაში); მოახდინოს მტკიცებულების პოტენციური ფორმების იდენტიფიცირება; განიხილოს, თუ რა სახის მტკიცებულებაა საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს prima facie საქმის აღძვრა და მტკიცების ტვირთის გადანაცვლება; განსაზღვროს, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა მოხდება მის ქვეყანაში. ამის ყოველივეს შემდეგ, მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, გაეცნოს CEDAW კომიტეტის დასკვნებს. ამ შემთხვევაში, კომიტეტმა დაადგინა დისკრიმინაციის არსებობა, რაც CEDAW კონვენციის დარღვევას წარმოადგენს.

კაზუსი B: ქალთა მიმართ ძალადობა

ეფუძნება ფაქტობრივ გარემოებებს X-ისა და Y-ს მიერ (რუსეთის ფედერაცია) CEDAW კომიტეტისათვის წარდგენილი კომუნიკაციიდან.

საქმე შეეხება X-ს და Y-ს, რომლებმაც განიცადეს ოჯახში ძალადობა. ისინი აცხადებდნენ, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა სათანადო გულისხმიერების (due dilligence) მოვალეობა - კერძოდ, მან არ უზრუნველყო გამოძიება და მოძალადეების სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

მენტორინგის მონაწილე უნდა გაეცნოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშაოს საქმის თეორია; განსაზღვროს შესაბამისი კანონმდებლობა (იმ დაშვებით, რომ საქმის განხილვა ხდება მის ქვეყანაში); მოახდინოს მტკიცებულების პოტენციური ფორმების და გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროების იდენტიფიცირება და განსაზღვროს, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა მოხდება მის ქვეყანაში. ამის ყოველივეს შემდეგ, მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, გაეცნოს CEDAW კომიტეტის დასკვნებს. ამ შემთხვევაში, კომიტეტმა დაადგინა CEDAW კონვენციის დარღვევა.

გაითვალისწინეთ, რომ კომუნიკაციის შეტანის დროს, რუსეთს სტამბოლის კონვენცია არ ჰქონდა რატიფიცირებული. მენტორინგის მონაწილის ერთ-ერთი დავალება უნდა იყოს სტამბოლის კონვენციის პოტენციური დარღვევების გამოვლენა.

სავარჯიშოები

ინსტრუქციები მენტორინგის მონაწილეს: **კაზუსი** A
სავარჯიშოს შესასრულებლად თანმიმდევრულად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

(a) გაეცანით გენდერის ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაციის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (დასაქმებასთან დაკავშირებით).

(b) საქმის ფაქტობრივი გარემოებები განიხილეთ თქვენი იურისდიქციის კონტექსტში. შეიმუშავეთ სამართლებრივი არგუმენტები გენდერის ნიშნით მოტივირებული დისკრიმინაციის საქმეში, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით (ნებისმიერი სტანდარტი, რომელიც შესაფერისად მიგაჩნიათ).

(c) მოახდინეთ მტკიცებულების შესაძლო ფორმების იდენტიფიცირება. ეს, შესაძლოა, სცდებოდეს თავად საქმის ფაქტობრივ გარემოებებში მითითებულ მტკიცებულებებს. დაფიქრდით, რა ფორმის მტკიცებულებებია საკმარისი prima facie საქმისთვის და მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე/დამსაქმებელზე გადასატანად, რათა მან დაამტკიცოს, რომ სამსახურიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება არ იყო დისკრიმინაციური.

(d) მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შეუძლიათ, განიხილონ სამართლებრივი არგუმენტები და მტკიცებულებები. საბოლოოდ, მენტორინგის მონაწილემ მოსამართლის როლი უნდა შეასრულოს და პოტენციურ გადაწყვეტილებამდე მივიდეს.

(e) საბოლოო ნაბიჯი მდგომარეობს CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების განხილვაში, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილებას არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. ამ ეტაპზე, მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შეუძლიათ, განიხილონ საქმის შესაძლო შედეგები საქმე (ა) მენტორინგის მონაწილის ქვეყანაში ან (ბ) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რომ განხილულიყო. აღნიშნულის მიზანია ეროვნულ სამართლებრივ გარემოში არსებული იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის გამოყენებით.

ინსტრუქციები მენტორინგის მონაწილეს: **კაზუსი** B
სავარჯიშოს შესასრულებლად თანმიმდევრულად მიჰყევით შემდეგ ნაბიჯებს:

(a) გაეცანით ქალთა მიმართ ძალადობის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით).

(b) საქმის ფაქტობრივი გარემოებები განიხილეთ თქვენი იურისდიქციის კონტექსტში. განსაზღვრეთ საქმის შესაბამისი კანონმდებლობა (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალი).

(c) განსაზღვრეთ საქმის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები. გაითვალისწინეთ, რომ რუსეთის ფედერაცია იმ დროისათვის სტამბოლის კონვენციის მხარეს არ წარმოადგენს. თუმცა, საქმეს უნდა მიუდგეთ ისე, თითქოს კონვენციას სავალდებულო ძალა აქვს სახელმწიფოსთვის. განსაზღვრეთ ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც საქმეს შეესაბამება.

(d) მოახდინეთ სახელმწიფოს უმოქმედობის დამადასტურებელი მტკიცებულების იდენტიფიცირება. ასევე, მოახდინეთ ნებისმიერი იმ ქმედებების იდენტიფიცირება, რომელიც პოლიციას ან პროკურატურას უნდა განეხორციელებინა ამ საქმეს თქვენს ქვეყანაში რომ ჰქონოდა ადგილი.

(e) მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შეუძლიათ, განიხილონ სამართლებრივი არგუმენტები და სახელმწიფოს უმოქმედობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საბოლოოდ, მენტორინგის მონაწილემ მოსამართლის როლი უნდა შეასრულოს და პოტენციურ გადაწყვეტილებამდე მივიდეს.

(f) საბოლოო ნაბიჯი მდგომარეობს CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების განხილვაში, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილებას არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. ამ ეტაპზე, მენტორსა და მენტორინგის მონაწილეს შეუძლიათ, განიხილონ საქმის შესაძლო შედეგები, საქმე (ა) მენტორინგის მონაწილის ქვეყანაში ან (ბ) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რომ განხილულიყო. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებები რჩება იგივე, თუმცა, შემთხვევას ადგილი აქვს ქვეყანაში, რომელმაც სტამბოლის კონვენციის

განსახილველი თემები:

კაზუსი A

(a) მას შემდეგ, რაც გაეცანით მომჩივნის (დ.ს.) მიერ წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არსებობს რაიმე განსხვავება გენდერის ნიშნით (ან სქესის ნიშნით) მოტივირებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოპასუხე ქვეყანაში (სლოვაკეთი) და თქვენს ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობებს შორის?

(b) დაასახელეთ თქვენს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობა.

(c) რომელი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაა შესაძლებელი? იფიქრეთ როგორც CEDAW კონვენციაზე, ისე ევროპის საბჭოს კონვენციებზე.

(d) მას შემდეგ, რაც გაეცნობით სახელმწიფო მხარის არგუმენტებს ("დაცვას") და მომჩივნის კომენტარებს, როგორ ფიქრობთ, რა ფორმის მტკიცებულებები შეუძლიათ წარმოადგინონ მომჩივანმა და სახელმწიფო მხარემ (მოპასუხემ)? შეგიძლიათ, გააკეთოთ ჩამონათვალი. იყავით კრეატიულები და იაზროვნეთ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიღმა. გაითვალისწინეთ, თუ რა მტკიცებულებები შეიძლება არსებობდეს თქვენს ქვეყანაში. რა სახის მტკიცებულება უნდა წარედგინა დ.ს.-ს იმისათვის, რომ უფლების დარღვევა ყოფილიყო თვალსაჩინო (prima facie), ეროვნული კანონმდებლობის თანახმად? დაფიქრდით, კიდევ რა პრეცედენტულ სამართალს იცნობთ. თუ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გიჭირთ, მოგვიანებით, CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილების განხილვისას, ყურადღება მიაქციეთ CEDAW-ს, თუ რა დაადგინა მან მტკიცების ტვირთის გადატანასთან დაკავშირებით.

(e) წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მოსამართლე. რა გადაწყვეტილებას მიიღებთ ან როგორ დაასაბუთებთ დ.ს.-ს სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას (ე.ი. მას შემდეგ, რაც დაადგენთ, რომ დამსაქმებელმა მის წინააღმდეგ დისკრიმინაცია განახორციელა)?

(f) გაეცანით CEDAW კომიტეტის დასკვნებს. გაითვალისწინეთ, რომ კომიტეტმა დაადგინა კონვენციის დარღვევა. როგორ ფიქრობთ, გადაწყვეტილება იგივე იქნებოდა საქმე თქვენი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში რომ განხილულიყო? მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ან საერთაშორისო სამართლის გამოყენებითაც (როგორიცაა CEDAW კონვენცია). იქნებოდა რაიმე განსხვავება საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რომ განეხილა, ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობით?

კაზუსი B

(a) ას შემდეგ, რაც გაეცანით მომჩივნების (X და Y) მიერ წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არსებობს რაიმე განსხვავება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოპასუხე ქვეყანაში (რუსეთის ფედერაცია) და თქვენს ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობებს შორის?

(b) წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ X-ისა და Y-ის ადვოკატი. დაასახელეთ კანონი, რომელიც თქვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გამოიყენება (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალი). თქვენს ქვეყანაში არსებობს სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალება, რომელზეც მომჩივნებს არ მოუწვდებოდათ ხელი?

(c) საქმეს თქვენს ქვეყანაში რომ ჰქონოდა ადგილი, რა სახის სამართლებრივი მოვალეობები დაეკისრებოდათ პოლიციასა და პროკურორებს?

(d) წარმოიდგინეთ, რომ საქმის გარემოებებს ადგილი ჰქონდათ სახელმწიფოში, რომელიც სტამბოლის კონვენციის მხარეს წარმოადგენს - რა მუხლს გამოიყენებთ სახელმწიფოს უმოქმედობის დასამტკიცებლად?

(e) რაში მდგომარეობს პოტენციური მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოს მიერ სათანადო გულისხმიერების მოვალეობის შეუსრულებლობას წინამდებარე საქმეში?

(f) გაეცანით სახელმწიფო მხარის არგუმენტებს ("დაცვას") - თქვენ, როგორც მომჩივნების ადვოკატი, როგორ უპასუხებდით ამ არგუმენტებს?

(g) თავი მოსამართლის ადგილას წარმოიდგინეთ - რა გადაწყვეტილებას მიიღებდით ან ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის რა დარღვევებს დაადგენდით?

(h) გაეცანით CEDAW კომიტეტის დასკვნებს. გაითვალისწინეთ, რომ კომიტეტმა დაადგინა CEDAW კონვენციის დარღვევები. როგორ ფიქრობთ, გადაწყვეტილება იგივე იქნებოდა საქმე თქვენი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში რომ განხილულიყო? საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რომ განეხილა, სტამბოლის კონვენციაზე დაყრდნობით?

რესურსები

დისკრიმინაციის შემთხვევები:
დ.ს.-ს კომუნიკაცია (CEDAW კომიტეტის მოსაზრებები No. 66/2014 კომუნიკაციასთან დაკავშირებით)
https://digitallibrary.un.org/record/854547

რ.კ.ბ.-ს კომუნიკაცია (CEDAW კომიტეტის მოსაზრებები No. 28/2010 კომუნიკაციასთან დაკავშირებით
https://juris.ohchr.org/Search/Details/1720

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები:
X-ის და Y-ს კომუნიკაცია (CEDAW კომიტეტის მოსაზრებები No. 100/2016 კომუნიკაციასთან დაკავშირებით)
https://undocs.org/pdf?symbol=en/CEDAW/C/73/D/100/2016

ო.გ.-ს კომუნიკაცია (CEDAW კომიტეტის მოსაზრებები No. 91/2015 კომუნიკაციასთან დაკავშირებით)
https://juris.ohchr.org/Search/Details/2429

სესია 8: რა შეიძლება გაკეთდეს სასამართლო პროცესებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად?

ეს სესია ფოკუსირებას ახდენს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კრიტიკულ ბარიერზე - გენდერული სტერეოტიპების გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში. სესიის ფარგლებში, მენტორინგის მონაწილე განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული მიკერძოების რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითს და დაფიქრდება როგორც გამოწვეულ ზიანზე, ისე სამართლებრივი სისტემის რეაგირებაზე თითოეულ შემთხვევაში.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

რეკომენდებულია, რომ წინამდებარე სესია ჩატარდეს მას შემდეგ, რაც მენტორინგის მონაწილე გაეცნობა სასამართლო სისტემაში გენდერული სტერეოტიპებისა და მიკერძოების თემების შესავალს. ეს მასალა ხელმისაწვდომია ტრენინგის სახელმძღვანელოს 1.4 სექციაში და ონლაინ კურსის მე-4 მოდულში. რეკომენდებულია, რომ დეტალურად იქნას განხილული გენდერული სტერეოტიპირების თემა და მენტორის ხელმძღვანელობით, მენტორინგის მონაწილე დაფიქრდეს გენდერული სტერეოტიპირების უარყოფით გავლენაზე სამართლებრივ საქმეებში.

სასწავლო მიზნები:

მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს ძირითად მიკერძოებებს/სტერეოტიპებს, რომელიც არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში ძალადობის დაბრალება მსხვერპლისთვის; სექსუალური ძალადობის/გაუპატიურების დინამიკის გაუაზრებლობა; არასწორი ინფორმაცია თანხმობის არსებობის შესახებ და ა.შ.) და გამოიკვლევს ასეთი სტერეოტიპული ცნებების წარმომავლობასა და ამ ცნებებით განპირობებულ ზიანს. მენტორინგის მონაწილე შეიმუშავებს გენდერული მიკერძოების შემთხვევებზე პოტენციური რეაგირებისა და მათი დაბლოკვის გზებს, რათა მოხდეს მიკერძოებით გამოწვეული ზიანის პრევენცია.

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს, რომ სტერეოტიპები და მცდარი წარმოდგენები სექსუალური ძალადობის შემთხვევებში (და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა შემთხვევებში), სამწუხაროდ, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია. როდესაც ეს სტერეოტიპები სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ახდენს გავლენას, იგი განაპირობებს გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის დამაბრკოლებელ ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ბარიერს (და ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც ასეთი დანაშაულები ლატენტურად ითვლება). მენტორინგის მონაწილე გაიაზრებს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს, რომ მიკერძოება და სტერეოტიპები მტკიცებულების ინტერპრეტაციისას და კანონის გამოყენებისას არ წარმოადგენდეს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემადგენელ ნაწილს. მენტორინგის მონაწილეები მიიღებენ ასეთი მიკერძოებისა და სტერეოტიპებს ამოსაცნობად საჭირო ცოდნას და მოახდენენ მათ პრევენციას საკუთარი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ზოგადად, სამართლებრივ პროცესებში.

შინაარსი / თემები

მენტორი მენტორინგის მონაწილეს უზრუნველყოფს ინფორმაციით (ან სთხოვს მინი კვლევის ჩატარებას) გენდერული სტერეოტიპების/მიკერძოების ბოლოდროინდელ და განსაკუთრებით თვალსაჩინო შემთხვევებზე. ქვემოთ წარმოდგენილია სამი მაგალითი. მენტორს შეუძლია, მენტორინგის მონაწილეს სთხოვოს ერთი ან სამივე მაგალითის განხილვა ან სხვა პრობლემური საქმეების შერჩევა. მენტორის ხელმძღვანელობის ქვეშ, მენტორინგის მონაწილე დაფიქრდება იმაზე, თუ რა არის სასამართლო გადაწყვეტილებების მიღმა, რა კონკრეტული სტერეოტიპების გამოიყენება, რა ზიანს იწვევენ ისინი და საზოგადოებას რა რეგირება აქვს აღნიშნულზე.

ყურადღება!

მენტორებო, გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები არ ასახავს საქმის სრულ ისტორიას. სავარჯიშოს მიზანია არა გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვა, არამედ, ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გენდერულმა სტერეოტიპებმა სამართალწარმოებაზე.

თითოეული საქმე შეიცავს გენდერული სტერეოტიპირების მკაფიო მაგალითს. მენტორინგის მონაწილემ ასეთი პრაქტიკა არ უნდა გაამართლოს.

გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ მენტორინგის მონაწილეს, შესაძლოა, ჰქონდეს გარკვეული არასწორი წარმოდგენები - როგორც აღინიშნა, ეს წარმოდგენები საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებების უმეტესობაში. ამრიგად, მენტორინგის მონაწილემ უნდა შეძლოს ასეთი წარმოდგენების შემცირება ან წარმოადგინოს განმარტებები. მენტორმა მენტორინგის მონაწილეს მკაფიოდ უნდა განუმარტოს, რომ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასახავს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ გენდერული სტერეოტიპების გამოყენებას, რაც გაუმართლებელია.

სავარჯიშოები

ქვემოთ წარმოდგენილია სამი მაგალითი. დამატებითი ინფორმაცია ამ კონკრეტული საქმეების შესახებ ხელმისაწვდომია სქოლიოში.

ესპანეთი: ("მგლების ხროვის" საქმე)[9]. 2018 წელს, ხუთ მამაკაცს ბრალად დაედო 18 წლის გოგოს გაუპატიურება. ისინი სასამართლომ დამნაშავედ ცნო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში - "მუდმივი სექსუალური ძალადობა", მაგრამ არა გაუპატიურებაში. საქმეს რამოდენიმე პრობლემური ასპექტი ჰქონდა. მაგალითად, გაუპატიურება ესპანური კანონმდებლობის თანახმად, ძალადობას ან ზეწოლას უნდა მოიცავდეს. დაცვის მხარე აცხადებდა, რომ მსხვერპლი თანახმა იყო, რის დასადასტურებლადაც მან ტელეფონით გადაღებული ვიდეო ჩანაწერი წარმოადგინა. ჩანაწერში ჩანდა, რომ გოგონას თვალები ჰქონდა დახუჭული და გაუნძრევლად იყო, რაც, დაცვის მხარის მტკიცებით, ადასტურებდა, რომ ძალადობას/ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. დაცვის მხარემ, ასევე, წარმოადგინა კერძო დეტექტივის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, სადაც მსხვერპლი წარმოდგენილი იყო მომღიმარი სახით, მეგობრებთან ერთად, ინციდენტამდე რამოდენიმე დღით ადრე. მოსამართლემ დაადგინა, რომ მსხვერპლის "პასიურობა" ნიშნავდა იმას, რომ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია. მოსამართლის ვერდიქტს ესპანეთში მოჰყვა ფართომასშტაბიანი საჯარო პროტესტი, რომლის მონაწილეებიც სექსუალური დანაშაულებების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვდნენ. 2019 წელს, უზენაესმა სასამართლომ ვერდიქტი ძალადაკარგულად გამოაცხადა და სასჯელი 9-დან 15 წლამდე გაზარდა. ამჟამად მიმდინარეობს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის საწინააღმდეგო კანონმდებლობის გადახედვა, შესაძლო ცვლილებების განხორციელების მიზნით.

იტალია:[10] 2016 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლომ ორი მამაკაცი 22 წლის პერუელი ქალის გაუპატიურებაში დამნაშავედ ცნო. 2017 წელს მსჯავრდებულები სააპელაციო სასამართლომ გაამართლა. დასაბუთების მიზნით, 3 ქალი მოსამართლისგან შემდგარმა სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მსხვერპლის ჩვენება არ იყო სანდო, ვინაიდან იგი იყო შეუხედავი / "გამოიყურებოდა მამაკაცურად", რის გამოც, მამაკაცებისათვის სასურველი ვერ იქნებოდა (მოსამართლეებმა აღნიშნული დასკვნა გააკეთეს მსხვერპლის ფოტოზე დაყრდნობით და ბრალდებულების ჩვენების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ისინი მსხვერპლის მიმართ მიზიდულობას არ განიცდიდნენ). საქმეში არსებობდა სასამართლო ექსპერტიზის საშუალებით მოპოვებული მტკიცებულება, რომლის თანახმადაც მსხვერპლს ჰქონდა დაზიანებები, რომელიც შეესაბამებოდა გაუპატიურებასა და ნარკოტიკებით მოწამვლას. 2019 წელს, უზენაესმა სასამართლომ მოითხოვა საქმის გადასინჯვა, ხოლო იუსტიციის მინისტრმა კი მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების შესწავლა.

ჩრდილოეთ ირლანდია:11 2018 წელს გამართულ პროცესზე 17 წლის გოგო 27 წლის მამაკაცს გაუპატიურებაში ადანაშაულებდა. სასამართლოს მიერ განსახილველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მსხვერპლის თანხმობის არსებობა სექსუალური სახის ქმედებებზე. დაცვის მხარემ დასკვნით სიტყვაში, რომლითაც ნაფიც მსაჯულებს მიმართა, განაცხადა შემდეგი: "მტკიცებულებები გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას ბრალდებული იზიდავდა და რომ მას სურდა ვინმესთან შეხვედრა და ვინმესთან ყოფნა? შეხედეთ მის ჩაცმულობას. მას ეცვა ტანგა [ქვედა საცვალი] მაქმანებით". ნაფიცმა მსაჯულებმა იმსჯელეს და ბრალდებული გაამართლეს. აღნიშნულს მოჰყვა ფართომასშტაბიანი პროტესტები და განცხადებები პარლამენტში ვერდიქტის დასაგმობად. საბოლოოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საბჭომ მოითხოვა ჩრდილოეთ ირლანდიაში სექსუალური დანაშაულების წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობისა და პროცედურების გადახედვა.

განსახილველი თემები

- რა წარმოადგენს პრობლემურ საკითხს თითოეულ შემთხვევაში? სექსუალური ძალადობის შესახებ რა კონკრეტული გენდერული სტერეოტიპების ან არასწორი წარმოდგენების გამყარება ხდება? რატომ არის ეს პრაქტიკა პრობლემური?
- დაფიქრდით, თითოეულ შემთხვევაში როგორ ხდებოდა გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შესახებ სტერეოტიპებისა და მითების გამყარება - სამართლებრივი არგუმენტების, სასამართლოს გადაწყვეტილების თუ თავად კანონების საშუალებით? რით განსხვავდება კონკრეტულ საქმეზე გენდერული სტერეოტიპების გავლენა საქმეზე, როდესაც სტერეოტიპები სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს?
- თითოეულ შემთხვევაში, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ან სამართლებრივი არგუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ გაუპატიურების საქმეების დინამიკა სათანადოდ იქნა აღქმული/გაგებული? რა არ იქნა აღქმული/გაგებული?

9. https://www.theguardian.com/world/2018/apr/26/protests-spain-five-men-cleared-of-teenagers-gang-rape-pamplona; https://www.forbes.com/sites/anagarciavaldivia/2019/06/22/wolf-pack-case-spains-supreme-court-finds-the-5-men-guilty-of-rape/#6ee37e4c5fb9
10. https://www.theguardian.com/world/2019/mar/11/men-acquitted-of-charges-because-victim-judged-too-masculine
11. https://www.irishexaminer.com/breakingnews/ireland/comment-investment-needed-to-change-attitudes-towards-consent-and-rape-885955.html

- რისი გაკეთება შეიძლებოდა განსხვავებულად? წარმოიდგინეთ, რომ ხართ პროკურორი ან მოსამართლე (ან იურიდიული პროფესიის სხვა შესაბამისი წარმომადგენელი) და დაფიქრდით შესაძლო ქმედებებზე, მათ შორის: მხარის მიერ პროტესტის გამოთქმა, ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის მიცემა, თქვენ მიერ შეფასებების გაკეთება, კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და ა.შ.
- მოცემულ რომელიმე შემთხვევას თქვენს ქვეყანაში რომ ჰქონოდა ადგილი, რისი გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი "სიგნალის გასაგზავნად" იმის თაობაზე, რომ გენდერული მიკერძოება და გენდერული სტერეოტიპების გამოყენება მიუღებელია? (მაგალითად, არსებობს დისციპლინური პროცედურები? დამოუკიდებელი მოკვლევის პროცედურები ან კანონში ცვლილების შეტანის მოთხოვნის შესაძლებლობა?)
- წარმოდგენილ სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საპროტესტო აქციებს ქვეყნის მასშტაბით, ხოლო საკითხი საერთაშორისო პრესის მიერ იქნა გაშუქებული. როგორ ფიქრობთ, ეს რატომ მოხდა? თვლით, რომ ეს საქმეები უჩვეულო შემთხვევებია, თუ რიამე ნაცნობ გარემოებებს შეიცავს?
- რა საბოლოო შედეგი დადგა აღნიშნულ სამ საქმეში, რამაც გააუმჯობესა მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ინტერესების უკეთ დასაცავად? დაასახელეთ "ნასწავლი გაკვეთილები".
- როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება შეუძლია სამართლებრივ სისტემას (და ამ სისტემაში მომუშავე პროფესიონალებს) იმისათვის, რომ სტერეოტიპირებასა და მიკერძოებაზე რეაგირება იყოს უფრო პროაქტიული, ნაცვლად ისეთ საქმეებზე რეაგირებისა, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მსხვერპლს და ზოგადად, ძირს უთხრის ნდობას შესაბამისი ინსტიტუტებისადმი?

რჩევები მასალის ადაპტაციასთან დაკავშირებით

- მოსალოდნელია, რომ წინამდებარე სესია ჩატარდება მას შემდეგ, რაც მენტორინგის მონაწილე გაეცნობა გენდერულ სტერეოტიპებს (ტრენინგის სახელმძღვანელოდან ან ონლაინ კურსიდან). ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ მენტორი დაინახავს, რომ მენტორინგის მონაწილეს უჭირს პრობლემური გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება მოცემულ სცენარებში, რეკომენდებულია, რომ მენტორმა მას სთხოვოს, გაეცნოს რესურსების სექციაში (იხ. ქვემოთ) წარმოდგენილ მასალებს. შესაძლებელია, რომ სესია დაიწყოს ცოდნის გამეორებით.
- მეორეს მხრივ, შესაძლებელია, რომ მენტორინგის მონაწილეს ეთხოვოს საკუთარი გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან მაგალითების იდენტიფიცირება, რაც მოითხოვს თვით-რეფლექსიას, საკუთარი მიკერძოებებისა და მცრადი წარმოდგენების გამოსავლენად. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მენტორინგის მონაწილისთვის რაიმეს დაბრალება, არამედ, სექსუალური ძალადობის შესახებ ფართოდ გავრცელებული მითების გააზრება (გაითვალისწინეთ, რომ მაგალითებში წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნები/სამართლებრივი სისტემები). აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი აზროვნებაც იცვლება (დაფიქრდით, 20 ან 100 წლის წინ როგორ განიხილავდნენ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს).
- მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, მოახდინოს იმ გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება და განხილვა, რომელიც გვხვდება სხვა ტიპის საქმეებში - მაგალითად, როგორ რეაგირებს ეროვნული კანონმდებლობა მეუღლეებს შორის გაუპატიურების შემთხვევაზე? არსებობს რაიმე გარემოება, რამაც, შესაძლოა, გაამართლოს გაუპატიურების შემთხვევა, თუ მოძალადე და მსხვერპლი იმყოფებიან ქორწინებაში? ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, განხორციელდა რაიმე ცვლილებები კანონში და სამართლებრივ სისტემაში? რა ცვლილებები განხორციელდა და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი?

რესურსები

გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული მიკერძოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რეკომენდებულია, მენტორინგის მონაწილეები გაეცნონ ქვემოთ წარმოდგენილ მასალებს:

"სტერეოტიპების აღმოფხვრა სასამართლოში: გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის საქმეებში ქალებისთვის მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობა" (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2014)

გენდერული სტერეოტიპები, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2013)
https://www.ohchr.org/EN/Issues/Women/WRGS/Pages/GenderStereotypes.aspx

სესია 9: გენდერულად სენსიტიური პრაქტიკის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში

ეს სესია მენტორინგის მონაწილეებს დაეხმარება, საკუთარი თავი მართლმსაჯულების ქალი მომხმარებლების ადგილას წარმოიდგინონ - მაგალითად, გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლად - იმისათვის, რომ მახდინონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების იდენტიფიცირება და ხელი შეუწყონ მათ აღმოფხვრას.

ონლაინ კურსის/ტრენინგის სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი:

ამ სესიის ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მენტორინგის პროგრამის მიმდინარეობისას. იგი შეესაბამება სახელმძღვანელოს მე-4 თავს და ონლაინ კურსის მე-5 და მე-6 მოდულებს.

სასწავლო მიზნები

მენტორინგის მონაწილემ საკუთარი პრაქტიკა და სამუშაო სივრცე უნდა დაინახოს იმ ქალის პერსპექტივიდან, რომელსაც მართლმსაჯულებაზე წვდომა სურს. მან კრიტიკულად უნდა გააანალიზოს საკუთარი სამუშაო გარემო და მოახდინოს მართლმსაჯულების პოტენციური ბარიერების იდენტიფიცირება, გამოავლინოს ის სისტემები და პრაქტიკები, რომლის გაუმჯობესებაც შესაძლებელია. ამ მიზნით, მენტორინგის მონაწილეს არ ევალება საკუთარი თანამშრომლებისა და სხვა პერსონალის საქმიანობაში რაიმე ხარვეზების გამოვლენა, არამედ, მან უნდა შეძლოს იმ პრობლემების მთლიანობაში დანახვა, რომელსაც აწყდებიან ქალები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით.

მოსალოდნელი შედეგები:

მენტორინგის მონაწილე ტრენინგიდან და თავად პროგრამიდან მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებს იმ კონკრეტული სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომელშიც შესაძლებელია გაუმჯობესებების განხორციელება, სამუშაო გარემოში. მენტორინგის მონაწილეებს, რომლებიც ერთსა და იმავე პრაქტიკას/ოფისს წარმოადგენენ, წარმოდგენილი სავარჯიშოს შესრულება ერთად შეუძლიათ. შესაძლებელია სხვა პროფესიონალების ჩართვაც.

შინაარსი / თემები

წინამდებარე სესიას ექნება "მინი გენდერული აუდიტის" ფორმა, რომლის ფარგლებშიც მენტორინგის მონაწილე კრიტიკულად შეაფასებს სამუშაო გარემოს (არა მხოლოდ ფიზიკურ გარემოს, არამედ, ასევე, პოლიტიკას, პროცედურებს და ა.შ.), მართლმსაჯულების ქალი მომხმარებლის პერსპექტივიდან. შემდგომ, მენტორინგის მონაწილე მოახდენს საკუთარი მიგნებების წარდგენას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურ გარემოში) და მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს.

გენდერული აუდიტი, როგორც წესი, გამოიყენება ორგანიზაციაში გენდერული მეინსტრიმინგის გასაუმჯობესებლად და იგი ფართომასშტაბიანი პროცესია. გენდერული აუდიტის გამოენება, ასევე, შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობის გენდერული პერსპექტივიდან შეფასების მიზნით. ამ შემთხვევაში, პროცესი შემოკლებული ფორმით არის წარმოდგენილი და მხოლოდ რამოდენიმე დღე გაგრძელდება.

სავარჯიშოები

მენტორი მენტორინგის მონაწილეს სთხოვს, საკუთარი სამუშაო გარემო კრიტიკულად შეაფასოს და გამოავლიოს ის საკითხები, რომელიც მან წინამდებარე პროგრამის ფარგლებში შეისწავლა. სავარჯიშო წარმოდგენს "მინი გენდერულ აუდიტს", რადგან მისი მასშტაბები სრულფასოვანი აუდიტის მასშტაბებზე გაცილებით მცირე ზომისაა. სავარჯიშოს შესასრულებლად, მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, თავი წარმოიდგინოს იმ ქალის ადგილას, რომელიც მართლმსაჯულებაზე წვდომას ესწრაფვის (იხ. რესურსები ქვემოთ).

მენტორი და მენტორინგის მონაწილე ერთად შეიმუშავებენ გენერალური აუდიტის საკონტროლო ჩამონათვალს, ქვემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე დაყრდნობით და იმის მიხედვით, თუ რა პროფესიის არის მენტორინგის მონაწილე (პროკურორი, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მოსამართლე). მენტორმა მენტორინგის მონაწილეს უნდა სთხოვოს არა მხოლოდ ფიზიკური გარემოს შეფასება, არამედ, ოფისში მომუშავე ადამიანების ცოდნისა და ქმედებების (მაგ. პროკურორები, მოსამართლის თანაშემწეები, მანდატურები და ა.შ.), პროცესების, პოლიტიკის და ა.შ. შეფასება. შეფასება მენტორინგის მონაწილის მხრიდან მოითხოვს არა მხოლოდ აზროვნებას, არამედ, აქტიურობასაც,

თანამშრომლებთან გასაუბრებას, ფიზიკური სივრცის დათვალიერებას, პროცედურული საკითხების განხილვას, პოტენციური პრობლემების/ბარიერების იდენტიფიცირების მიზნით. მენტორინგის მონაწილეთა შერეული ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ მენტორინგის მონაწილეები ერთმანეთის ოფისებს ეწვიონ.

საკონტროლო ჩამონათვალი

არსებული **პოლიტიკა**, **პროცედურები და პროცესები** შეაფასეთ გენდერული სენსიტიურობის/ნეიტრალურობის/გენდერული სიბრმავის პერსპექტივიდან (მაგალითად, არსებობს გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლთან გასაუბრების შიდა ინსტრუქციები ან სახელმძღვანელო მითითებები?)

თანამშრომელთა **ცოდნა და სენსიტიურობა** გენდერული საკითხების მიმართ (მაგალითად, თანამშრომლებს ადეკვატურად ესმით ქალების, როგორც მართლმსაჯულების მომხმარებლების საჭიროებები? ხდება თანამშრომლების მომზადება?). შენიშვნა: მენტორინგის მონაწილეს შეუძლია, გაესაუბროს თანამშრომლებს ან ჩაატაროს ფოკუს ჯგუფები.

ფიზიკური გარემოს დათვალიერება (მაგალითად, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მართლმსაჯულების ქალი მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე - ბროშურები, ლიფლეტები ან გადამისამართება ადგილობრივ სერვისებზე? არსეობს ცალკე მოსაცდელი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ოფისში/სასამართლოში ბავშვებთან ერთად მოდიან? ხდება უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინება?

განსახილველი თემები

- დაასახელეთ "მინი გენდერული აუდიტის" ძირითადი მიგნებები, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. გაგაკვირვათ რამემ? რამ?
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ყველაზე მეტი ბარიერი სად აღმოაჩინეთ? ეს ბარიერები პროცედურებს უკავშირდება, თავად სივრცეს, თუ სხვა რამეს?
- როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო თქვენს სამუშაო გარემოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად?
- როგორ დაახასიათებდით ამ ბარიერებს? შეძლებთ, თავად მოახდინოთ მათზე რეაგირება?
- ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად დაგჭირდებათ სხვებთან თანამშრომლობა? თუ კი, ვისთან? რა მხარდაჭერა ან რესურსები დაგჭირდებათ ამ ბარიერებზე რეაგირების მოსახდენად? რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისათვის, რომ მიიღოთ საჭირო მხარდაჭერა და რესურსები?
- როგორ ფიქრობთ, ეს სავარჯიშო როგორ წარიმართებოდა მენტორინგის პროგრამის დასაწყისში რომ შეგესრულებინათ (ე.ი. რვა თვით ადრე)? ფიქრობთ, რომ მაშინ განსხვავებული მოსაზრებები გქონდათ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებზე, რომელიც თქვენს სამუშაო გარემოს უკავშირდება?

რესურსები

თუ მენტორინგის მონაწილე არ იცნობს გენდერული აუდიტის კონცეფციას, პროცესის აღწერას შეუძლია გაეცნოს აქ:
https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/methods-tools/gender-audit. ამავდროულად, მენტორმა მკაფიოდ უნდა განუმარტოს, რომ მენტორინგის მონაწილეს არ მოეთხოვება სრული გენდერული აუდიტის ჩატარება, არამედ, სავარჯიშო გულისხმობს სამუშაო გარემოს შეფასებას გენდერული აუდიტის საბაზისო მეთოდების გამოყენებით.

2015-2017 წლებში შვედეთის სასამართლო სისტემამ განიცადა გენდერული მეინსტრიმინგის პროცესი, რომლის შედეგებიც წარმოდგენილია უკუკავშირის ანგარიშში. სასურველია, მენტორინგის მონაწილე ამ ანგარიშს გაეცნოს, რადგან იგი აღწერს აქტივობებს, რომლებიც გამოყენებული იქნა სასამართლო სისტემაში გენდერული სენსიტიურობის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის 3.6.6 სექცია აღწერს, თუ როგორ განხორციელდა "გენდერული სვლა მომხმარებლის კვალდაკვალ."
https://rm.coe.int/gm-feedback-swedish-court/16808f14d8
https://rm.coe.int/gm–feedback–swedish–court/16808f14d8

სესია 10: პროგრამის დახურვა, შეფასება და მომდევნო ნაბიჯები

საბოლოო სესიის მიზანია მენტორინგის პროცესის დახურვა: დასკვნითი რეკომენდაციების შემუშავება, მიღწევების აღრიცხვა, შედეგების შეფასება და სამომავლო ნაბიჯების იდენტიფიცირება, პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილების პრაქტიკოსი იურისტების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრირების მიზნით.

სასწავლო მიზნები

მენტორი მონაწილეს დაეხმარება პროგრამის შეჯამებაში, ნასწავლი თემების იდენტიფიცირებაში და მიღებული გამოცდილების შესახებ დასკვნების გაკეთებაში. ამ სესიის ძირითადი მიზანია სწავლის შეფასება, შედეგის გააზრება და მიღებული გამოცდილების გადატანა ყოველდღიურ საქმიანობაში. სესია მენტორინგის მონაწილეს საშუალებას აძლევს, მენტორს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები, როგორც მენტორინგის პროცესთან, ისე მის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი შედეგები

მენტორინგის მონაწილე შეძლებს, მოახდინოს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგებისა და იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელთა ინტეგრირება შესაძლებელია ყოველდღიურ საქმიანობაში, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

შინაარსი / თემები / განსახილველი საკითხები

- სწავლასთან დაკავშირებული საკითხები და დასკვნები;
- სამომავლო ნაბიჯები, მხარდაჭერისა და სწავლის სამომავლო საჭიროებები;
- გავლენის გაფართოება - ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თემის განხილვა კოლეგებთან;
- პროცესის შეფასება - თანამშრომლობა მენტორინგის მონაწილესა და მენტორს შორის;
- უკუკავშირი.

სავარჯიშოები

სასურველია, რომ ეს სავარჯიშო შესრულდეს ჯგუფში, ნაწილობრივ მაინც, რათა მენტორინგის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარონ სწავლის შედეგები და სამომავლო ნაბიჯები. შეფასება, შესაძლოა, მოიცავდეს მენტორის მიერ გაკეთებული შენიშვნების გადახედვას და თითოეული სესიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხების გახსენებას. რეკომენდებულია სწავლის სხვადასხვა ასპექტების განხილვა, კერძოდ:

- დაასახელეთ ის ქმედებები/პრაქტიკა, რასაც აქამდე აკეთებდით, თუმცა, მენტორინგის პროგრამის შედეგად, კიდევ უფრო მეტად გააცნობიერეთ მათი მნიშვნელობა ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით.
- მენტორინგის პროგრამის შემდეგ, რას შეცვლიდით საკუთარ პრაქტიკაში/საქმიანობაში?
- თქვენი მხრიდან რისი გაკეთება შეიძლება ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად?
- თქვენთვის ყველაზე სასარგებლო რომელი შემთხვევები და მაგალითები იყო?

რესურსები

მენტორინგის საბოლოო შეფასების ფორმა (მენტორინგის მონაწილეებისთვის) - დანართი 2

დამატებითი რესურსები, რომელიც მენტორინგის სესიების შემუშავებაში დაგეხმარებათ

ევროპის საბჭო

ქალებისთვის მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის მასალები
https://www.coe.int/en/web/genderequality/equal-access-of-women-to-justice

სტამბოლის კონვენცია (ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ყველა ენაზე)
https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/text-of-the-convention

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) ანგარიშები
https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო:

პრეცედენტული სამართალი (HUDOC მონაცემთა ბაზა)
https://hudoc.echr.coe.int/eng#{"documentcollectionid2":["GRANDCHAMBER","CHAMBER"]}

ფაქტობრივი მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობაზე
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Violence_Woman_ENG.pdf

ფაქტობრივი მონაცემები ოჯახში ძალადობაზე
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Domestic_violence_ENG.pdf

ფაქტობრივი მონაცემები გენდერულ თანასწორობაზე
https://www.echr.coe.int/Documents/FS_Gender_Equality_ENG.pdf

ადამიანის უფლებათა სწავლების ევროპული პროგრამა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის (HELP), ონლაინ კურსები:
http://help.elearning.ext.coe.int

გენდერული სტატისტიკის წყაროები:

გაეროს ადამიანური განვითარების ანგარიშები, მონაცემები და ქვეყნების შესახებ ინფორმაცია
http://www.hdr.undp.org/en
http://www.hdr.undp.org/en/data

UNECE-ს გენდერული სტატისტიკის მონაცემთა ბაზა
https://w3.unece.org/PXWeb/en
https://w3.unece.org/PXWeb/ru

მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა
https://databank.worldbank.org/source/gender-statistics

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოები

CEDAW კომიტეტი

ზოგადი რეკომენდაციები (მათ შორის, ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ)
https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CEDAW/Pages/Recommendations.aspx

პრეცედენტული სამართალი
https://juris.ohchr.org/en/search/results?Bodies=3&sortOrder=Date

ვიდეოები

ევროპული საბჭოს მულტიმედია გენდერულ თანასწორობაზე
https://www.coe.int/en/web/genderequality/multimedia

ევროპული საბჭოს ვიდეოები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ
https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/
https://www.coe.int/en/web/human-rights-channel/domestic-violence-and-violence-against-women

UN Women-ის ციფრული ბიბლიოთეკა
https://www.unwomen.org/en/digital-library/videos

UN Women ევროპაში და ცენტრალურ აზიაში
https://eca.unwomen.org/en/digital-library/videos

გენდერული თანასწორობა (და გენდერული სახელფასო სხვაობა)
https://www.youtube.com/watch?v=TWvJ3Dd2Y9M
https://www.youtube.com/watch?v=t2JBPBIFR2Y
https://www.youtube.com/watch?v=pF1j22x-yU8
https://www.youtube.com/watch?v=snUE2jm_nFA

გენდერული სტერეოტიპები
https://www.youtube.com/watch?v=G3Aweo-74kY

გენდერული მეინსტრიმინგი
https://youtu.be/udSjBbGwJEg (ინგლისურად)
https://youtu.be/Dh2B7ausEJo (უკრაინულად)

დანართები

(1) მენტორინგის სესიის ანგარიშის ფორმა (მენტორებისათვის)

(2) მენტორინგის საბოლოო შეფასების ფორმა
(მენტორინგის მონაწილეებისთვის)

(3) მენტორინგის საბოლოო ანგარიშის ფორმა (მენტორებისათვის)

დაფინანსებულია
ევროკავშირის და
ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

**ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა:
სტამბოლოს კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა
ევროპული სტანდარტების განხორციელება**

მენტორინგის სესიის ანგარიშის ფორმა

(დანართი 1, ივსება მენტორის მიერ)

წინამდებარე ანგარიშის ფორმა მენტორის მიერ ივსება თითოეული სესიის შემდგომ. გთხოვთ, ფორმა ყურადღებით წაიკითხოთ, რადგან იგი გამოყენებული იქნება მენტორინგის პროგრამის დოკუმენტირებისთვის, სხვებს დაეხმარება პროცესის უკეთ აღქმაში და მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინეთ პროგრამის ადაპტაცია და რა ისწავლეთ მისგან. ანგარიში, ასევე, იძლევა მენტორინგის პროგრამის გაუმჯობესების უნიკალურ შესაძლებლობას, თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია, რაც დაგვეხმარება პროცესის მიმდინარეობისა და იმ გამოწვევების უკეთ გააზრებაში, რომელსაც მენტორინგის მონაწილეებთან აწყდებოდით. ევროპის საბჭო თქვენს ანგარიშს გამოიყენებს მხოლოდ თქვენი ნებართვით. ამ შემთხვევაში, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, გამოსაყენებელ მასალაში შეიტანოთ შესწორებები.

თქვენი სახელი, ქვეყანა: _____

☐ **მენტორინგის ინდივიდუალური სესია** ☐ **მენტორინგის ჯგუფური სესია**

მენტორინგის მონაწილის (მონაწილეების) სახელ(ებ)ი: _____

მენტორინგის სესიის ჩატარების დრო და ადგილი:

განხილული თემები / სფერო:
შეხვედრისა და თქვენი გამოცდილების მოკლე შინაარსი:
შეხვედრისას მიღწეული შედეგები და გამოწვევები:

თქვენი გამოცდილება შემოთავაზებულ მეთოდებთან დაკავშირებით; რისი ადაპტაცია მოახდინეთ ან რა გამოიყენეთ განსხვავებულად:
სხვა შენიშვნები, გასათვალისწინებელი საკითხები:

დაფინანსებულია
ევროკავშირის და
ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: სტამბოლოს კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების განხორციელება

მენტორინგის საბოლოო შეფასების ფორმა

(**დანართი 2**, **ივსება მენტორინგის მონაწილის მიერ**)

შეფასების ამ ფორმას ავსებს მენტორინგის მონაწილე, მენტორინგის პროგრამის დასასრულს, შეფასების სესიის შემდეგ. გთხოვთ, ფორმა წაიკითხოთ და ყურადღებით შეავსოთ, ვინაიდან იგი გამოყენებული იქნება მენტორინგის პროგრამის დოკუმენტირებისთვის და სხვებს დაეხმარება პროცესის უკეთ გაცნობაში და თქვენი გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღებაში. ფორმა, ასევე, იძლევა მენტორინგის პროგრამის გაუმჯობესების უნიკალურ შესაძლებლობას, თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით.

Konkret olmağa çalışın ki, bu proseslərin necə getdiyini daha yaxşı başa düşək.

გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია, რაც ჩვენ დაგვეხმარება პროცესის მიმდინარეობისა უკეთ გააზრებაში.

თქვენი სახელი, **ქვეყანა**: _____

მენტორინგის პროცესის თარიღები (**დაწყება და დასრულება**) - მენტორინგის 1-ლი შეხვედრიდან ბოლო შეხვედრამდე. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს მოსამზადებელ შეხვედრებს, თუ თვლით, რომ ეს შეხვედრები თქვენი პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო.

_____

A. კონტექსტი

პროექტის **განხორციელების კონტექსტი**: გთხოვთ, აღწეროთ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი ანგარიშის წაკითხვისას:

B.პროცესის შეფასება თქვენს მიერ

გთხოვთ, აღწეროთ თქვენი გამოცდილება მენტორინგის პროცესთან დაკავშირებით.
დაასახელეთ ის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გააზრებაშიც დაგეხმარათ მენტორინგის პროგრამა.

სასარგებლო იყო მენტორინგის პროგრამა თქვენი სამომავლო საქმიანობისთვის?

კომენტარი:

☐ არა ☐ მცირედით ☐ დიახ

გთხოვთ, შეაფასოთ მენტორინგის პროგრამის ქვემოთ წარმოდგენილი ასპექტები:

განხილული თემების რელევანტურობა

☐ ცუდი ☐ დამაკმაყოფილებელი ☐ კარგი ☐ ძალიან კარგი

ფასილიტაცია მენტორის მიერ

☐ ცუდი ☐ დამაკმაყოფილებელი ☐ კარგი ☐ ძალიან კარგი

პრაქტიკული სავარჯიშოებისთვის დათმობილი დრო

☐ ცუდი ☐ დამაკმაყოფილებელი ☐ კარგი ☐ ძალიან კარგი

მენტორინგის პროგრამის ხანგრძლივობა

☐ ცუდი ☐ დამაკმაყოფილებელი ☐ კარგი ☐ ძალიან კარგი

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი მოსაზრება:

მენტორინგის პროგრამამ გაზარდა ჩემი კომპეტენციები ქალებისთვის მართლმსაჯულების წვდომისა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე:

☐ კატეგორიულადარ ვეთანხმები ☐ არ ვეთანხმები ☐ არ ვიცი ☐ ვეთანხმები ☐ კატეგორიულად ვეთანხმები

გავეცანი სიახლეებს, რომელსაც ჩემს საქმიანობაში გამოვიყენებ:

☐ კატეგორიულადარ ვეთანხმები ☐ არ ვეთანხმები ☐ არ ვიცი ☐ ვეთანხმები ☐ კატეგორიულად ვეთანხმები

მოტივირებული ვარ, რომ ჩემს კოლეგებს გავუწიო კონსულტაცია პროგრამის ფარგლებში განხილულ თემებზე:

☐ კატეგორიულადარ ვეთანხმები ☐ არ ვეთანხმები ☐ არ ვიცი ☐ ვეთანხმები ☐ კატეგორიულად ვეთანხმები

კომენტარები:

გთხოვთ, მიუთითოთ თემები, რომელსაც მენტორინგის პროგრამა არ ითვალისწინებდა, მაგრამ სასურველია, რომ ითვალისწინებდეს, ან ითვალისწინებდა, მაგრამ სასურველია, რომ მეტი დრო დაეთმოს:
დამატებითი რეკომენტაციები პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (შინაარსობრივი ან ორგანიზაციული მხარეები):

მადლობას გიხდით თქვენი მოსაზრებების გაზიარებისთვის!

დაფინანსებულია
ევროკავშირის და
ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: სტამბოლოს კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების განხორციელება

მენტორინგის საბოლოო ანგარიშის ფორმა

(დანართი 3, ივსება მენტორის მიერ)

წინამდებარე ანგარიშის ფორმა თქვენს მიერ ივსება მენტორინგის პროგრამის დასასრულს, შეფასების სესიის ჩატარების შემდეგ. გთხოვთ, ფორმა ყურადღებით წაიკითხეთ, რადგან იგი გამოყენებული იქნება მენტორინგის პროგრამის დოკუმენტირებისთვის, სხვებს დაეხმარება პროცესის უკეთ აღქმაში და მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინეთ პროგრამის ადაპტაცია და რა ისწავლეთ მისგან. ანგარიში, ასევე, იძლევა მენტორინგის პროგრამის გაუმჯობესების უნიკალურ შესაძლებლობას, თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია, რაც ჩვენ დაგვეხმარება პროცესის მიმდინარეობისა და იმ გამოწვევების უკეთ გააზრებაში, რომელსაც მენტორინგის მონაწილეებთან აწყდებოდით. ევროპის საბჭო თქვენს ანგარიშს გამოიყენებს მხოლოდ თქვენი ნებართვით. ამ შემთხვევაში, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, გამოსაყენებელ მასალაში შეიტანოთ შესწორებები.

თქვენი სახელი, ორგანიზაცია, ქვეყანა: _____

_____

მენტორინგის მონაწილეების სახელები: _____

მენტორინგის პროცესის თარიღები (**დაწყება და დასრულება**) - მენტორინგის 1-ლი შეხვედრიდან ბოლო შეხვედრამდე. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს მოსამზადებელ შეხვედრებს, თუ თვლით, რომ ეს შეხვედრები თქვენი პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო.

_____

C. კონტექსტი

პროექტის **განხორციელების კონტექსტი**: გთხოვთ, აღწეროთ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული კონტექსტუალური ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას თქვენი ანგარიშის წაკითხვისას:

D. მონაწილეები

მონაწილეები: ვისთან ერთად მუშაობდით?
რაოდენობა: გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია თქვენი მენტორინგის მონაწილეების შესახებ

მენტორინგის მონაწილეები	**პროფესია** (მოსამართლე, პროკურორი)	შეხვედრების რაოდენობა	ძირითადი თემა, განხილული საკითხები

E. მენტორინგის ძირითადი აქტივობები

გთხოვთ, აღწეროთ პროცესის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი აქტივობები. აღწერა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- როგორ და როდის ჩატარდა მენტორინგი (ინდივიდუალური vs ჯგუფური მენტორინგის შეხვედრები, გამოცდილება მენტორინგის პროცესის ფასილიტაციასთან დაკავშირებით)
- გამოცდილება მეთოდოლოგიასთან და მეთოდებთან დაკავშირებით
- მენტორინგის პროცესის შედეგად განხორციელებული რა ძირითადი ცვლილებები შეამჩნიეთ მენტორინგის მონაწილეებში?

F. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

რა თემები იქნა განხილული და როგორ?

მენტორინგის სახელმძღვანელოში შემოთავაზებული სესიები: მონიშნეთ სესიები, რომელიც ჩატარდა თქვენი პროცესის ფარგლებში	☐ რა კავშირი აქვს "ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას" ჩემთან? ☐ "მართლმსაჯულება ბრმაა" არ ნიშნავს "გენდერულად ბრმას"! ☐ ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების განხილვა ☐ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ☐ ქალთა უფლებების შესახებ საერთშორისო სამართლის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში ☐ პრეცედენტულ სამართალზე მუშაობა ☐ რა შეიძლება გაკეთდეს სასამართლო პროცესებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად? ☐ გენდერულად სენსიტიური პრაქტიკის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში ☐ მენტორინგის პროგრამის დახურვა, შეფასება და მომდევნო ნაბიჯები ☐ სხვა თემა:

როგორ განიხილეთ (ზემოთ მონიშნული) სხვადასხვა თემები/სესიები? აღწერეთ თქვენი გამოცდილება სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. მოკლედ აღწერეთ თქვენს მიერ განხორციელებული ცვლილებები (მაგალითად, დამატებითი მასალების გამოყენება, თემის ფარგლებში სხვა, დამატებითი საკითხების განხილვა და ა.შ.).

გთხოვთ, წარმოადგინოთ მენტორინგის მიზნები, რომელიც პროცესის დასაწყისში განსაზღვრეთ მენტორინგის თითოეულ მონაწილესთან დაკავშირებით:

მენტორინგის მონაწილე:	მენტორინგის მიზნები ▸ … ▸ … ▸ …
მენტორინგის მონაწილე:	მენტორინგის მიზნები ▸ … ▸ … ▸ …
მენტორინგის მონაწილე:	მენტორინგის მიზნები ▸ … ▸ … ▸ …

პროექტმა ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად შეუწყო ხელი:

G. შედეგები - რესურსები და სირთულეები

გთხოვთ, დაასახელოთ, თქვენი აზრით, მენტორინგის პროცესის ყველაზე წარმატებული შედეგები/გავლენა.

იყავით მაქსიმალურად კონკრეტული.

რამდენად შეესაბამებოდა შედეგები თქვენს მოლოდინებსა და გეგმებს?

გთხოვთ, მიუთითოთ, მიღწეულ იქნა თუ არა ყველა ის მიზანი, რომელიც წინასწარ დაისახეთ. იყო თუ არა რომელიმე შედეგი თქვენთვის მოულოდნელი.

-

მენტორინგის პროცესში გადააწყდით რაიმე სირთულეს? თუ კი, რა სირთულეს? როგორ დაძლიეთ იგი?

გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკრეტული მაგალითები...

H. შემდგომი ქმედებები და მდგრადობა

დაგეგმეთ მენტორინგის პროცესის შემდგომი ქმედებები?

გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები და თქვენი მენტორინგის მონაწილის გეგმები.

I. თქვენს შესახებ

გთხოვთ, დაასრულოთ შემდეგი წინადადებები:

მენტორობამ მასწავლა, რომ....

მენტორინგის პროცესში ჩემი ყველაზე დიდი მოტივაცია იყო...

ჩემთვის, როგორც მენტორისათვის, ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა...

მენტორინგის წყალობით მე...

J. დამატებითი კომენტარები

გაგვიზიარეთ თქვენი კომენტარები და/ან უკუკავშირი, ზემოთ წარმოდგენილ კითხვებზე დამატებით:

GEO

The Council of Europe is the continent's leading human rights organisation. It comprises 47 member states, including all members of the European Union. All Council of Europe member states have signed up to the European convention on Human rights, a treaty designed to protect human rights, democracy and the rule of law. The European Court of Human Rights oversees the implementation of the Convention in the member states.

www.coe.int

The Member States of the European Union have decided to link together their know-how, resources and destinies. Together, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders.

www.europa.eu

დაფინანსებულია
ევროკავშირის და
ევროპის საბჭოს მიერ

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ